ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟიმნელი

140/1928

16

1928 სახელგამი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პიონერის“

რედაქცია გადავიდა ახალ ბინაზე:

რუსთველის გამზირი, № 22

(საქართველოს კომ. პარტიის ც. კ. ყოფილ ფენოგბაში)

დღეიდან ყოველგვარი

მიწერ-მოწერა, ჟურნალის საკითხებთან დაკავშირებული, ამ მისამართით უნდა იქნას წარმოებული

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

	გვ.
1. ლენინის გარდაცვალების 4 წ. თავი—ვ. იმედაძის	2
2. კინო-მსახიობი მიშა—გ. ს.	3
3. [illegible]ანვარი—ლექსი—ე. პოლუმორდვინოვის	8
4. ვანო აგიტატორი—ს. ერთაწმინდელის	9
5. წითელი კლდის მონადირე—ჩ. რობერტსის	12
6. ვ. ლენინი	15
7. კარლ ლიბკნეხტი	18
8. რა სთქვა საქართველოს ბ. კ. ო. მომუშავეთა თათბირმა—ა. ასტაშევის	19
9. ჩვენი ძმები მსოფლიოში	21
10. ჩვენი ცხოვრება და მუშაობა	23
11. თამაშობანი და გამოცანები — კანზე.	

329.154(05)
ქ-47

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

პიონერი

1928
15 იანვარი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს შ. კ. ო. ცენტრალური მიუხოს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) ჟურნალი ბავშვისათვის

წელიწადი III
№ 1

ლენინის საქმისათვის მუდამ მზად ვართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის გარდაცვალების 4 წლის თავი.

1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა ყველა დროისა და ქვეყნის უდიდესი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი გასაოცარი ნიჭი და გრძნობა მშრომელთა განთავისუფლებას შესწირა. ჯერ კიდევ ბავშობისას, როცა მან გაიგო თავზარდამცემი ამბავი—მისი ძმის ჩამოხრჩობა მეფის ჯალათების მიერ, მან მტკიცედ გადასწყვიტა ებრძოლა, როგორც მის ძმას, მშრომელთა განთავისუფლებისათვის, მაგრამ სხვა გზით, და ეს გზა მან კიდეც ნახა: მშრომელთა განთავისუფლება თვით მშრომელთა საქმეა, ე. ი., თუ თვით ხალხი არ ამოძრავდა, თვით მაგრად არ ჩასჭიდა ხელი თავისი განთავისუფლების საქმეს, თუ მასში მტკიცე არ იქნა შეგნება და ორგანიზაცია, ისე ამაო იქნება ბრძოლა და მსხვერპლი.

მშრომელთა გამოღვიძებას, მის დარაზმვას შესწირა ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლე, აზროვნება, უნარი, ძალები. მას ღრმად უყვარდა მშრომელი მასა, სწამდა მისი ძალა და მომავალი, იცოდა მასის სულისკვეთება და ტკივილები, იცოდა მისი განკურნების წამალი. ამიტომ იყო, რომ მშრომელნიც გრძნობდენ მასში მამას, ხელმძღვანელს, ძმას, ამხანაგს, მეგობარს და ასე უბრალოდ, გულახდილად მიდიოდენ მასთან ყოველი ჭირ-ვარამით, ენდობოდენ ყოველ მის სიტყვას და ნაბიჯს. და ლენინსაც არასდროს არ უღალატნია ერთხელ აღებული ხაზისთვის, ერთხელ დასახული მიზნისთვის. ახალგაზრობიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე, როდესაც საშინელმა ავადმყოფობამ მეტყველების უნარიც კი წაართვა, ლენინის აზრი ერთ რამეს დასტრიალებდა თავს, ერთი რამ აწუხებდა მუდამ, ერთი რამით იყო გატაცებული: „რა მოვნახო, რა ვაკეთო, როგორ შევუწყო ხელი მშრომელთა განთავისუფლების და ბედნიერების საქმესო“.

ფუჭედ არ ჩაუვლია ძია ლენინის გატაცებას, თავდავიწყებას, პირადი ცხოვრების უარყოფას: მან წინ წასწია ტანჯვის ჩიხიდან კაცობრიობის გამოყვანის საქმე, მან კაცობრიობა სოციალიზმ-კომუნიზმისკენ წაიყვანა.

ლენინის მაგალითი მუდამ თვალწინ უნდა ჰქონდეს ყოველ ბავშს, მით უმეტეს პიონერს, რომელიც თავს ნორჩ ლენინელს უწოდებს, მან ლენინს მუდამ უნდა წაბაძოს, მას მიუახლოვდეს.

რითი შეგვიძლია ჩვენ ეს შევასრულოთ?

იმით, თუ კარგად გავითვალისწინებთ, შევიგნებთ ძია ლენინის ანდერძს, ჩვენ დღევანდელ ამოცანებს და ჩვენი ძალ-ღონის მიხედვით ენერგიულად შევუდგებით მისი ანდერძების განხორციელებას.

პირველი ანდერძი ლენინისა არის—მუშების და გლეხების მტკიცე ძმური კავშირი. ჩვენი რევოლუციის გამარჯვება, სოციალისტური მშენებლობა, მსოფლიო რევოლუციის წარმატებით სვლა შეუძლებელია ისე, თუ მუშათა და გლეხთა კავშირი მტკიცე არ იქნება. ამ კავშირს ყოველმხრივად უნდა შეუწყოს ხელი ყოველმა პიონერმა—ჯერ იმით, რომ კარგად უნდა შეითვისოს, შეიგნოს იგი, შეაგნებინოს თავის ამხანაგებსაც, დაიჭიროს ქალაქიდან კავშირი სოფლის კოლექტივებთან, დაეხმაროს მათ თავისი უფრო მეტი გამოცდილებით, ცოდნით. ეს იქნება პიონერულად გატარებული ლენინის ანდერძი ქალაქის და სოფლის, მუშისა და გლეხის დაახლოვების შესახებ.

ლენინმა გვიანდერძა: ჩვენი რევოლუცია მხოლოდ პირველი ნაბიჯია, დასაწყისია, პირველი იერიშია, ჩვენი მიზანია მოვსპოთ მშრომელთა ტანჯვა და მონობა მთელ დედამიწაზე, ჩვენ ვერ დავისვენებთ, სანამ მთელ დედამიწას არ ავყრით ბორკილებს, ჩვენ ერთ წუთსაც ვერ დავივიწყებთ და არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ტანჯული, განაწამები ძმები, რომელნიც გაბაწრულნი, ბრძოლაში დაჭანცულნი სისხლისგან იცლებიან, ლპებიან ციხე-საპყრობილეში. ჩვენ უნდა ვიყოთ მზად, რომ შევასრულოთ ჩვენი ვალი ჩვენი ამხანაგების წინაშე—დავეხმაროთ მათ ყოველმხრივ.

ეს ანდერძი ლენინისა პიონერებს არასდროს არ უნდა დაავიწყდესთ.

ბავშობისას ლენინს გულს უკლავდა, რომ მეფის მთავრობა სდევნიდა, დასცინოდა არარუს მოსახლეობას; ლენინი აღშფოთებული იყო ამით და მან გვიანდერძა: მშრომელნი, რომელი ერის, ქვეყნის, ენის და სარწმუნოებისაც გინდ› იყონ, ყველანი ამხანაგები, თანასწორნი, მეგობრები უნდა იყონ ჭირშიც და ლხინშიც. მხოლოდ მდიდრებს და ხალხის მტრებს უნდათ გათიშონ ისინი, ერთმანეთს გადაკიდონ, გადაამტერონ. ჩვენთვის ყველა ქვეყნის მშრომელნი ჩვენი ძმები არიან, მათ ჩვენ ყოველმხრივ დავეხმარებით, თუ ჩვენზე ჩამორჩენილი არიან, დავეხმარებით, რომ ავწიოთ ჩვენ დონემდე, გავითანასწოროთ; თუ ჩვენზე უფრო წინ არიან წასული, ისინი ხელს გამოგვიწოდებენ, რომ დაგვიახლოვონ. ძმა ძმისთვისო, შავი დღისთვისო, ნათქვამია. მშრომელთა შორის ძმობა-ერთობა, თანასწორობა! ქართველი, რუსი, სომეხი, ოსი, თურქი და სხვა—ყველა ჩვენი ძმა და სასურველი ამხანაგიაო, ასეთია ლენინის მესამე ანდერძი.

ჩვენ კიდევ ღარიბნი ვართ, საკმაოდ ჩამორჩენილნი, ჩვენშია უსუფთაობა, წერა-კითხვის უცოდინარობა, უპატრონო ბავშთა დიდი რიცხვი და ჩვენ ყველა ესენი უნდა დავძლიოთ, უამისოდ ჩვენ წინ ვერ წავალთ, ამის მოსაგვარებლად ყველამ რაიმე უნდა გავაკეთოთ.

ლენინმა შექმნა, უხელმძღვანელა, უპატრონა მშრომელთა სახელმწიფოს—ჩვენს საბჭოთა კავშირს. დღეს ამ კავშირს ხალხის მტრები შავი ყორნებივით თავს დასტრიალებენ, ემუქრებიან ომს, განადგურებას. შენ, ლენინელო პიონერო, გაცხოველებით უნდა იმუშაო, რომ მონაწილეობა მიიღო მშრომელთა სახელმწიფოს გადარჩენა-დაცვაში, დაჩქარებით უნდა შეიძინო სამხედრო ცოდნა, ხალხს აუხსნა, ვინ გვესხმის თავს, ვინ გვემუქრება, ვინ არის ჩვენი მტერი, რომ ხალხი, მუშები და გლეხები, მოემზადოს საბჭოთა კავშირის დასაცავად.

მალე შესრულდება ოთხი წელი, რაც აღარ გვყავს ჩვენი მასწავლებელი, მეგობარი, ძია ლენინი. მისი ხსოვნა უკვდავია, მაგრამ გვახსოვს ისიც, რომ საუკეთესო აღნიშვნა მასწავლებლის ხსოვნისა არის მისი გეზით სვლა, მის მიერ დაწყებული საქმის დაბოლოება, მისი ანდერძის ცხოვრებაში გატარება. ამ დღეს ლენინელმა პიონერებმა ერთხელ კიდევ უნდა დასდონ ფიცი, რომ მუდამ ივლიან ლენინის გზით, წაბაძავენ მის ცხოვრება-ბრძოლას, შეასრულებენ მის ანდერძს და ოქტომბერში აღმართულ დროშას მედგრად დაიჭერენ ხელში მსოფლიო კომუნის დასამყარებლად.

ლენინელო პიონერებო, იყავით მზად!

ვ. იმედაძე.



კინო-მსახიობი მიშა

ტფილისის, უმზეო ცა შელამების ბურუსმა მოიცვა.

ქუჩებში ერთიმეორეზე აენთენ ჩამქრალი ფარნები და მაღაზიების დაბინდული ვიტრინებიდან ელნათურები ვარსკვლავებივით ამოშუქურდენ.

გაჩირაღდნებულ მოედნებზე მოფუსფუსე ხალხის ღრიანცელი, ავტომობილების ხმაური და ტრამვაების განუწყვეტელი რახრახი გაისმოდა.

რუსთველის გამზირზე გარბოდენ გაზეთის გამყიდველი ბავშები:

— საღამოს დეპეშები, რევოლუცია ჩინეთში... ჩან-ძო-ლინის დამარცხება, — ხმამაღლა გაჰყვიროდენ ისინი, ახტებოდენ ტრამვაის საფეხურებს, უშიშრად გადაურბოდენ გაქანებულ ავტომობილებს და ყოველგვარად ცდილობდენ ერთმანეთისთვის დაესწროთ „დეპეშების“ გასაღება.

ოპერის თეატრის შენობასთან ხალხი შეგროვილიყო და მეორე სართულიდან გადმოკიდულ დიდ აფიშას კითხულობდა, რომელზედაც უზარმაზარი წითელი ასოები სანდომიანად გამოიყურებოდენ. აფიშაზე ეწერა:

— „დაეხმარეთ უპატრონო ბავშებს!“ „გაიღეთ თქვენი წვლილი უბინო ბავშებისათვის თავშესაფარის ასაგებად!“..

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის წინ კი თავდახრილი მოქალაქენი მოსკოვიდან რადიოთი გადმოცემულ ბელადების სიტყვებს ისმენდენ.

მუდამ მშფოთვარე და დაუდეგარი ტფილისი ახლაც მოუსვენარი და ხერვიული იყო.

მიშა ზმორებით გამოძვრა თავისი ბუნაგიდან. ეს იყო ყოველგვარი სიბინძურით სავსე დიდი სანაგვე ყუთი, სადაც ის ათევდა ღამეს ამ უკანასკნელ ხანებში. მაგრამ ამ ყუთშიც არ აცლიდენ მას მშვიდ ცხოვრებას კეთილი ადამიანები. ყველაზე მეტად მას ეშინოდა სახლის პატრონის, რომელსაც არა ერთხელ ამოუთრევია ყუთიდან მძინარი მიშა.

— შენ აქ რა გინდა? — მკაცრად დაუყვირებდა სახლის პატრონი.

— ძია, მე უბინაო ვარ... აქ მძინავს ხოლმე, — თვალების ფშვნეტით უპასუხებდა მიშა.

— მოწანწალეებისათვის მე ბინა არა მაქვს, აქედან გაეთრიე, მტკვრის პირას ჩადი და იქ დაიძინე.

ულმობელი სახლის პატრონი ყოველთვის ცემა-ტყეპით აგდებდა ეზოს გარეთ. თავჩაღუნული მიშა ბუზღუნით გარბოდა ყინვით მოსრიალებულ ქვაფენილზე და გათენებამდე ცის ქვეშ საცოდავად ცახცახებდა.

მიშას ეცვა ძველი, დაფლეთილი ფრენჩი, ფართოთათებიანი გახუნებული შარვალი და ფეხზე საკვირველად დიდი მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელები. ეს ფეხსაცმელები მიშას ერთმა კეთილმა წითელარმიელმა აჩუქა.

მიშა ხშირად მთელი კვირაობით შიმშილობდა.

აი, ახლა ის ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, თუ სად და როგორ შეიძლებოდა უფრო იოლად გამოეძღო ცარიელი კუჭი, მიშა ბარბაცით მიაბიჯებდა ელექტრონის ყვითელი სხივებით მოკირწყლულ ქვაფენილებზე და შიმშილისაგან ანთებული თვალებით აქეთ-იქით იყურებოდა.

რუსთველის გამზირზე ბუზივით ირეოდა მოსეირნე ხალხი.

მიშამ ფრთხილად შეაღო ერთ-ერთი კაფეს კარები და დახლზე დალაგებულ თბილ ნამცხვრებს მიუახლოვდა. კაფეში ათასგვარი საჭმლის და ტკბილეულობის საამური სურნელება იდგა. სუფთა მაგიდების ირგვლივ შემომსხდარი სტუმრები რძესა და ყავას შეექცეოდენ. მიშას პირში ნერწყვი მოადგა, თავი დაუბრუნდა...

— ძია, მომეცი კაპეიკი, — მიმართა მან კაფეს პატრონს, რომელიც დახლზე ცხელ ხაჭაპურებს სჭრიდა და ლამბაქებზე გულმოდგინედ აწყობდა. კაფეს პატრონმა მიშას ცივად გადმოხედა.

— ძია, სამი დღეა ვშიმშილობ... უპატრონო ვარ... ობოლი... მომეცი ერთი კაპეიკი, ჩემო ოქრო, ჩემო ზურმუხტო...

— აქედან გაეთერი.. სხვებთან რატომ არ შედიხარ, — გაისმა კაფეს პატრონის მკაცრი ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძია, პურის ნაჭერი მაინც მომეცი, —უკანასკნელად კიდევ სცადა მიშამ.

— მომშორდი მეთქი, გესმის! — ახლა უკვე გაბრაზებით დაუყვირა კაფეს პატრონმა.

მიშა ბარბაცით გამოვიდა ქუჩაში.

ნამცხვრების სურნელებით გარეტებული მოდიოდა ის, თვალწინ სულ ის ცხელი ხაჭაპურები ელანდებოდა.

მიშა ქუჩაში ყოველ გამვლელს გაზეპირებული სიტყვებით მისდევდა, საცოდავად ეღრიჭებოდა, მაგრამ გამძღარ გულქვა მოქალაქეებს არ აინტერესებდათ, მიშას შიოდა თუ არა. მიშა კი ლამის ჭკუიდან შეიშალოს!.. ნამცხვრების სურნელება ცხვირში ისევ მაცდურად უღიტინებს, გული უღონდება და სირბილით მოქანცული მუხლები თანდათან უსუსტდება. არა, ეს კარგი საჭმელები უთუოდ მის გულის შესაღონებლად არის გამოგონილი. აბა რად არის მიშასთვის ცხოვრება ასე მძიმე და აუტანელი? რად არ აქვს ფული, რომ სხვებსავით კაფეში წამოსკუპდეს და დაშაქრული რძით ყელი ჩაიტკბარუნოს? ეხ, ეს წყეული ხაჭაპურები!.. რომ შეიძლებოდეს თუნდაც ერთი ხაჭაპურის ჩუმად დათრევა, მაშინ ხომ... არა, მიშამ როგორმე უნდა შეისრულოს გულისწადილი.

ლენინის კუთხე კავშირგაბმულობის პიონერ-კოლექტივში (ტფილისი, ლენრაიონი).

მიშა ახლა ფურნეში შეიჭრა, დახლთან აიტუზა და თავისებურად დაიწყო:

— ძია, მომეცი ერთი კაპეიკი: სამი დღეა ვშიმშილობ... ძია, ოქრო, ლალო, ფირუზო, პურის ნაჭერი მაინც მომეცი... — გულსაკლავად შეტიტინებდა ფქვილში ამოგანგლულ მეფურნეს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა.

მიშა ისევ ქუჩაში გამოვარდა და მოსეირნე ხალხს შეერია.

მან კიდევ ბევრჯერ სცადა გამვლელთათვის თავი შეებრალებია, კიდევ დიდხანს გაისმოდა მისი სევდიანი ტიტინი, კიდევ ბევრი გააცილა უიმედობითა და ცრემლებით აღსავსე თვალებით, მაგრამ ამ წყეულ საღამოს მიშას ღიმილი რა არის, ისიც არავინ უთავაზა.

და, აი, მიშა უკვე სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. ამდენი რბენით მოქანცული მზად იყო დასაძინებლად ისევ თავის ბუნაგს დაბრუნებოდა, რომ ამ დროს უცებ შეჩერდა.

მაღაზიის წინ, რომლის განათებულ ვიტრინებს იქით მრავალი ძვირფასი და საკვირველი ნივთი იყო, იდგა კარგად ჩაცმული მაღალი კაცი. მას ჩაღრმავებულ თვალებს ორი შავი სათვალე უფარავდა; პირში ინგლისური ჩიბუხი გამოეჩრა და მოხდენილად აბოლებდა.

— ძია! — უცებ ჩახლეჩილი ხმით მიმართა მიშამ— მომეცი ერთი კაპეიკი...

სათვალეებიანმა მიშას ალერსიანად გადმოხედა, მერე ჯიბიდან ვერცხლის ახალი ათშაურიანი მშვიდად ამოიღო და მიშას გაუწოდა. მიშას სიხარულით ბაგეები აუთამაშდა, შიმშილისაგან ჩალამებული თვალები უცებ გაუბრწყინდა, ვერცხლის ათშაურიანი ხელში მაგრად ჩამუჭნა და გამხირხე სირბილით დაეშვა.

გადასწყვიტა ამ ფულით მარტო ხაჭაპურები ეყიდა, მაგრამ როცა დაფიქრდა, ჭკუაში არ დაუჯდა და ისევ თავი შეიმაგრა. ცოტა ხნის შემდეგ მიშას თეთრი პურის დიდი ნაჭერი მარცხენა ხელივ გულზე აუხუტებია და მადიანად ილუკმპებოდა.

დანაყრებული მიშა ქვაფენილზე ჩამოჯდა.

— არა, ქვეყანაზე კეთილი ადამიანებიც არიან, ექვსი შაური კიდევ გადამრჩა, ხვალ იოლად წავალ, —ფიქრობდა იგი და ვერცხლის სამშაურიანებს ხელში ათამაშებდა.

— მიშა, აქ რას აკეთებ? — უცებ მას თავზე წამოადგა ვანუა...

— ხომ ხედავ, ვზივარ, ვისვენებ...

— ჩემთან წამოხვალ?

— სად უნდა წამოვიდე?

— წამოსვლაზე უარს არ იტყვი... ფულიც გვაქვს?..

— ვნახოთ. შეიძლება კიდეც მქონდეს — და მიშამ ვანუას ამაყად ახედა.

— არა, მართალი მითხარი, — ცხარობდა ვანუა.

— მართალს გეუბნები, თუ დიდად საჭიროა, ფული მოინახება...

— მაშ წამოდი ჩემთან, არ გინდა?

მიშამ იცოდა, რომ ვანუა მას არ მოატყუებდა. მართალია, ვანუა იმაზე უფროსი და ლონიერიც იყო, მაგრამ მიშას არასოდეს არ სჩაგრავდა; პირიქით, ბევრჯერ მისთვის კარგი ამხანაგობაც გაუწევია.

ისინი შეუჩნეველად შეძვრენ რონოდაში.

გაჩირაღდნებული მაღალი შენობები და მაღაზიები თანდათან უკან რჩებოდა. ქალაქის განაპირა წყნარ ქუჩებში რონოდა გაჩქარებით მირახრახებდა.

მათ თვალწინ გადაეშალათ ქალაქის ბნელი მხარე, სადაც დაბალი, ვიწროფანჯრებიანი შენობები ნაღვლიანად გამოიყურებოდენ;

ეს მუშათა უბანი იყო.

შორს, როგორც უდაბნო ზღვაზე მოციციმე შუქურა, ღამის სიბნელეში გამოკრთოდა ელექტრონის დიდი ფარანი.

აქ ჩამოხტენ ჩვენი მგზავრები და ელექტრონის სინათლისკენ სირბილით გაეშურენ.

— აქ რა გვინდა? — უცებ შეეკითხა ვანუას მიშა.

— მივალთ და გაიგებ, — მოჭრით უპასუხა ვანუამ.

ისინი მივიდენ კინემატოგრაფში. აქ ყველაფერს უბრალოების იერი გადაჰკრავდა, ასე რომ მათი დაფლეთილი ტანისამოსისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

ვანუამ მიშას ბილეთებისათვის აბაზი გამოართვა. ისინი შეძენილი ბილეთებით დიდ, თეთრად გაბრწყინებულ დარბაზში შევიდენ და უკანა რიგში მოთავსდენ. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი.

ცოტა ხნის შემდეგ უცებ სინათლე ჩაქრა და დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა .. მაგრამ, აი, დარბაზის წინა კედელი უცებ თითქო აცახცახდა. კედელზე ელვის სისწრაფით მოჰქროდა მატარებელი... ფანჯრებიდან მგზავრებს თავები გამოეყოთ და დარბაზში მსხდომ ხალხს აკვერდებოდენ. „არა, უთუოდ სიზმარში ვარ, თორემ მატარებელს ოთახში რა უნდა“... ფიქრობდა თავისთვის განცვიფრებული მიშა. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელი გაქრა... მის ადგილას გარბოდენ ახლა ცხენები... დიახ... ნამდვილი ცხენები.. მიშას თავბრუ დაეხვა. მერე კედელზე გაჩნდა სოფელი თავისი დაბალი ქოხებით და პურის ყანებით... მერე ისევ მატარებელი, მდინარეები, ტყეები, მთები... არა, ეს უთუოდ სიზმარია და არა სინამდვილე... მოჩვენებაა და არა სიმართლე... ბოლოს დარბაზი ისევ განათდა. აქ კი მიშას განცვიფრება უსაზღვრო იყო.

სწორედ იქ, სადაც წუთის წინათ ამდენმა ჩვენებამ გაიქროლა, მხოლოდ ოთხკუთხი თეთრი ტილო ეკიდა და მეტი არაფერი.

ლენინის კუთხე მეორე კოლექტივში (ტფილისი).



აი სურათი იმისა, თუ როგორ ცხოვრობენ ბურჟუაზიულ გერმანიაში მაღაროს მუშების შვილები. ბავშები მთელ დღეებს და ღამეებს ატარებენ ბნელ სარდაფში, ფეხშიშველნი და მშიერნი.

დიდის ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა მიშა ეკრანს (ასე უწოდებდენ ამ თეთრ ტილოს მაყურებლები), და როცა რომელიმე მოქმედი გმირი დიდ გაჭირვებაში ჩავარდებოდა, ინსტინქტურად შეშინებული ხუჭავდა თვალებს... მაგრამ უნდა გენახათ, როგორ უხაროდა მას, როცა საყვარელი გმირი მტრებს ამარცხებდა:

— აი ეგრე, მოსცხე მაგ არამზადებს,—თავისთვის ბუტბუტებდა მიშა და გამარჯვებულ გმირს მხურვალედ ტაშს უკრავდა, ხტოდა, იცინოდა.

მიშას მეხსიერებაში ეს საღამო განსაკუთრებული სიცხოველით აღიბეჭდა.

ეს იყო ის დიადი და დაუვიწყარი საღამო, რომელმაც მისი ცხოვრება ძირიან-ფესვიანად შეცვალა.

ამის შემდეგ მიშა ხშირად დადიოდა კინემატოგრაფში. ბევრი სასწაული ნახა მან ეკრანის ტილოზე, მაგრამ ყოველივე ეს მიშას უკვე აღარ აკვირვებდა.

ხშირად მიშას პურის ფულიც არ გააჩნდა, მაგრამ კინოში მაინც მიდიოდა. იქ მას ჩქარა ყველანი შეეჩვიენ და როცა საჩვენებელ დარბაზში დაინახავდენ, თითქმის სიყვარულით ამბობდენ:

— აი, ჩვენი მიშაც აქ არის...

ყოველივე ეს მიშას ძლიერ ახარებდა და როცა თავის ძმაბიჭებთან დაბრუნდებოდა, თავი მაღლა ეჭირა, ამაყობდა.

ამიტომ მიშა ამხანაგებმა ერთხელ ლაზათიანაც მიბეგვეს.

მიშა ყველას არწმუნებდა, რომ ის ობოლია და უპატრონო, მაგრამ ეს სიცრუე იყო: იქ, სადაც ვოლგა წელში ნამგალივით იღუნება, ამაღლებულ მწვანე მიდამოებზე გაშენებულია სოფელი სტოლბინო. სოფლის განაპირას განმარტოებით დგას დაბალი, ნახევრად დანგრეული ქოხი, რომელშიც ცხოვრობს მიშას მამა, პავლე ეგოზინი.

დილით სოფლის პატარა ბიჭები ხშირად მიდიოდენ მდინარე ვოლგაში საბანაოდ. მზის შუქზე მოლივლივე ვოლგის წყნარ ტალღებში გორაობა მათთვის დიდი ბედნიერება იყო: უყვარდათ ღრმა, ჩაღამებულ მდორეებში ყვინთვა, მერე, როცა მოწყინდებოდათ, სოველ სილაში ამოთითხნილები ვოლგის ნაპირებზე დარბოდენ.

სადღაც შორს გრგვინავდენ ზარბაზნები, სადღაც შორს წითელი არმია ხელში თოფებით იგერებდა საბჭოთა ქვეყნის დაუძინებელი მტრის კოლჩაკის იერიშებს, აქ კი ვოლგა ღრმა კალაპოტში ნელი რხევით წყნარად მიდუდუნებდა და ირგვლივ სიმშვიდე და მყუდროობა იყო.

მიშას უფროსი ძმა წითელ არმიაში მსახურობდა.

ყოველ საღამოს მიშას დედა იჯდა ფანჯარასთან და ნაღვლიანად ოხრავდა. იქვე ლოგინზე წამოწოლილი იყო პავლე და ცოლს ალერსიანი სიტყვებით ამშვიდებდა:

— შე კაი ქალო, რა გაწუხებს: ან სადმე ქალაქად იქნება და ან ჩვენდა გასახარად თეთრებს ეომება...

თვითონ პავლე გამოცდილი მეომარია. მეფის ჯარში კარგახანს მსახურობდა და გერმანელებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის დროს მხარში დაიჭრა. როცა ჭრილობა მოუშუშდა, ის ხელმეორედ გაგზავნეს ომში. ქ. იაკობშტადტთან რამოდენიმე საათის განმავლობაში იყნოსა მახრჩობელა აირი... პავლე ცოცხალმკვდარი მოიყვანეს საავადმყოფოში, ცდილობდენ ჩქარა მოერჩინათ, რომ კიდევ მესამედ გაეგზავნათ ბრძოლის ველზე, მაგრამ ეს აღარ დასცალდათ.

რუსეთს გრიგალივით მოედო რევოლუციის ცეცხლი, და ჯარისკაცები, დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი სისხლი „ვილაცების" საკეთილდღეოდ ამაოდ იღვრებოდა, ისევ თავისი მშობლიური მიწისა და სანატრელი ქოხებისაკენ გაეშურენ.

პავლე ეგოზინი დასახიჩრებული და დაავადმყოფებული დაბრუნდა თავის სამშობლო სოფელში. ცალი ხელით ის დიდი ვაივაგლახით ეწეოდა მეურნეობას; ცდილობდა ოჯახს არაფერი არ შემოკლებოდა.

მაგრამ ბეჩავი ვლეხობა თითქო შერისხა ჯერ ცამ და მერე მიწამაც აღარ დაინდო.

ყოველ დილით გამოდიოდენ გლეხები და ანკარა ცის სილრმეს გარინდებულნი დიდხანს გაჰყურებდენ, მაგრამ ლურჯ ტატნობზე ღრუბლის ნატამალიც არსად ჩანდა. გადაიხრუკა პურის აბიბინებული ყანები. მიწა სკდებოდა სიცხიანი ავადმყოფის მშრალი ბაგეებივით, მიწა ითხოვდა წვიმას, გაგრილებას, მაგრამ ცა იყო სისხლის ფერი და მზე მცხუნვარედ ანთებული.

ასე მოვიდა შიმშილობა.

ხანგრძლივმა გოლვამ ასე გაანადგურა გლეხობის სარჩო-საბადებელი და დადგა ხანა დაუსრულებელი წამების და მათხოვრობის.

შიმშილობის დღეებში სხვა ბავშებთან ერთად მიშაც გაიქცა სოფლიდან და დიდხანს დაეხეტებოდა ქ. სამარაში. აქ ის ითხოვდა გროშებს და პურის ნატეხებს.

ის უკვე ნამდვილ ქუჩის მაწანწალად გადაიქცა.

სხვადასხვა მხარეში მოგზაურობის დროს ბევრი რამ შეემთხვა პატარა მიშას. მისი თავგადასავალი მდიდარი იყო და მრავალფეროვანი.

მან მოიარა შორეული თურქესტანი, სადაც, როგორც ამბობდენ, პური უხვად მოიპოებოდა. ამ დროს რუსეთში ძლიერ ციოდა, მიშას სათუთ ძარღვებში სისხლი ეყინებოდა, იქ კი, პირიქით, მზე იყო მცხუნვარე და ჰავა ხვარშაკი.

მეჩეთების ახლო მიდამოებში იყო სიწყნარე და პატარა უმოძრაო ტბები, დაბინდულ სარკესავით მოელვარენი. ამ მიდამოებში მრავლად იყო გაშენებული თუთის ხე, სადაც მიშა ხშირად დაეხეტებოდა, რომ ტკბილი ნოყიერი თუთის ნაყოფით მწვავე შიმშილი მოეკლა. აქ მიშა, ჩაწოლილი მაღალ მწვანე ბალახებში, ან ხავსით დაფარულ დიდ ქვაზე ჩამომჯდარი, ფიქრობდა თავის სამშობლო სოფელზე.

მაგრამ მიშას არ მოსწონდა აქაური ხალხი. ისინი იყვნენ უსანდომონი და მიჯკარებელნი.

ერთი მზიან დილას მიშა მატარებლის ქვეშ რკინის ღერძზე გაწვა და რამოდენიმე დღის შემდეგ მან იხილა მოსკოვის ოქროსფერი გუმბათები. მოსკოვმა მეტად გააკვირვა და მოაჯადოვა პატარა მოგზაური. ის აქ ღამეებს ათევდა კურსკის სადგურის გვირაბებში ან შენობების შესავალში, მაგრამ როცა შემოდგომის სუსხმა დაჰკრა, მიშა სამხრეთისაკენ გაეშურა.

ასე მოხვდა მიშა ყირიმში, ზღვასთან. მიშას პირველად ზღვა ძლიერ ეუცხოვა, თითქმის შეეშინდა. თავის სოფელში ის შეჩვეული იყო ვოლგის წყნარ დუდუნს... იქ გემებიც სულ სხვანაირი იყო.

აქ კი მწვანედ გადაშლილი ატალღებული ზღვა ღმუოდა, პირქუში და დაუნდობელი.

— ნეტავი თუ შეიძლება ბადემ ზღვის ფსკერამდე დაუწიოს? ზღვა დიდია და ღრმა, ხუთი ვერსი მაინც ექნება სიგანე. ეხ, რა კარგი იქნებოდა, რომ ზღვაზე ფეხდაფეხ გასვლა შეიძლებოდეს... მაშინ ხომ ზღვის ნაპირამდე მიღწევა არც თუ ისე ძნელი იქნებოდა...—ფიქრობდა თავისთვის მიშა და უნაპირო ზღვის სივრცეს მეოცნებე თვალებით გაჰყურებდა. მიშა ყველაზე მეტად ნისლში გახვეულმა შავად აბურძგნულმა მთებმა გააკვირვა.

ის ზღვაში იჭერდა მედუზებს და ზღვის ნაპირზე აგროვებდა ბრჭყვიალა სადაფის ნიჟარებს.

მიშა აქ თითქმის ყოველდღიურად შიმშილობდა, ბოლოს სახადითაც დაავადმყოფდა, მაგრამ ჩქარა გამომრთელდა და გამოზაფხულზე ისევ მოსკოვისაკენ გასწია.

ასე მიდიოდა წლები.

ხარკოვი, არხანგელსკი, ოდესა, ჩიტა... მიშამ თითქმის რუსეთის ყველა ქალაქი მოიარა.

ერთხელ ოდესაში იტალიელების გემში შეიპარა და რამოდენიმე დღის შემდეგ კონსტანტინეპოლში ამოჰყო თავი.

დაღრღნილი ძვლებისა და გადაყრილი პურის წართმევის მიზნით აქ მას ხშირად უხდებოდა ბრძოლა ქუჩის ძაღლებთან.

მიშა კონსტანტინეპოლში ორ თვეს შიმშილობდა... მყრალ ქუჩებში ტანსაცმელშემოფლეთილი დედაშობილად დადიოდა.

ბოლოს მიშას შემთხვევით შეხვდენ რუსი მეზღვაურები. მეზღვაურებს ძვლებად ქცეული მიშა შეეცოდათ და თავის გემზე მოათავსეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, აი, მიშა უკვე ბათუმშია. მან აქ კარგახანს იხეტიალა. ბოლოს მობეზრდა ბათუმიც და ერთს მშვენიერ დღეს ტფილისში რუსთველის გამზირზე გაჩნდა.

პირველ ხანებში, სანამ ახალ ქალაქს ალლოს აუღებდა და ტოლ ბიჭობას გაიჩენდა, მიშას ძლიერ გაუჭირდა... მაგრამ მიშა ტფილისს ჩქარა შეეგუა. მისი ქვეშსაგები იყო ცივი ქვაფენილი და საბანი კი ხან ანკარა და ხან მოპირქუშებული ღრუბლიანი ცა.

ხანდახან, როცა ღამე იყო ბნელი და მაღლიდან ცივი წვიმა ცრიდა, ძილგამფრთხალ მიშას შეიპყრობდა ფიქრი: აგონდებოდა სამშობლო სოფელში ისლით დახურული პატარა ქოხი, ტოლ-ბიჭებთან პურის აბიბინებულ ყანებში ნავარდი, წყნარად ადუდუნებულ ვოლგაში ცურვა, შორს, მწვანე მინდვრებში ჩამდგარი მწყერების საამური ჭუკჭუკი და ანკარა ცის სილრმეში მონავარდე აჭიკჭიკებული ტოროლები.

მიშას აგონდებოდა მეგობრებიც: ვანუა სახადით გარდაიცვალა, მიტო მიყრუებულ სადგურზე მატარებელმა გასრისა .. დარჩა ობლად პატარა მიშა.

ახლა რაღა ჰქნას?

ისევ თავის სოფელში წავიდეს?

არა, მიშა სოფელს აღარ დაუბრუნდება, ის საბოლოოდ მოხიბლა ტფილისის მრავალფეროვნებამ. მიშას შეუყვარდა ამ ქალაქის მოუსვენარი, მუდამ ახმაურებული ქუჩები და აქ თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში.

აქ მან პირველად ნახა სასწაულმოქმედი კინემატოგრაფი...

არა, მიშა ტფილისს ვერ მიატოვებს.

გ. ს.

(შემდეგი იქნება).

ᲒᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

აენთო წარსული
წაუშლელ ხსოვნაში
და მკერდი დაფლითა
გულისა ძგერამ;
ფიქრია ავსილი
წყევლა და წყრომაში,
როს ჩამოაბნელა
სისხლისა დენამ...

სხივივით აენთო
სიტყვა გულმართალი,
ტანჯვა და წვალება
რომ შემოეცალათ,
მთრთოლვარებს, მწყურვალებს
სურდათ სამართალი,
მეფეს და დიდებულთ
მათთვისაც ეცალათ!..

მაგრამ ახმაურდა
ყუმბარა საზარი,
ტყვიების ზუზუნმა
დაიპყრო მიდამო,
გარემო დაყრუვდა
კვამლით დანაფარი
და მოსპო სიცოცხლე
ცეცხლმა და მიწამა...

ათასი მშრომელის
ათასი გულმკერდი
გაგმირა ულმობელ
რკინამ და ტყვიამ,
ამ დროს კი სასახლე
მთლად წყურვილმოკლული
დაიპყრო უზომო
ლხენამ და სიამემ.

იანვრის ბნელი ცა,
სისხლით შელებილი,
მწარე მოგონებად
ანთია ხსოვნაში;
დღეს თვით სიმღერითაც
ნაღველი გვენთხევა
და ბრძოლის ფიცსა ვდებთ
ამ გულისწყრომაში.

ე. პოლუმორდვინოვი.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ᲕᲐᲜᲝ ᲐᲠᲘᲡᲢᲐᲠᲩᲘ

Ა.

— შენ რა გესმის, შე ღლაპო, რომ ერევი ამ სასოფლო საქმეებში? წადი შინ და დედაშენს მიხედე, ი ყურძნის ჯაგნები რომ დაგიმზადა შემოდგომაზე და ჩურჩხელები უნდა ჩამოეტანა ერდოდან,— უთხრა მამამ ვანოს ღიმილით და თავზე ხელი გადაუსვა.

— ვის არ ესმის? მე? აბა მაშ რის პიონერი ვარ, რომ ეგეც არ ვიცოდე? შენა გგონია კოლექტივში მაგაზე კი არ გველაპარაკენ?! ახლა საზამთროდ რომ დაგვითხოვეს, წინამძღოლი გველაპარაკა ამაზე... სოფელში ვინც წახვალთ, აბა, თქვენ იცით, როგორ იმუშავებთო, დაგვაბარა,—მიუგო ვანომ მამას.

ლაპარაკი შეეხებოდა მომავალ საბჭოთა გადარჩევებს...

— ვერა ხედავ ამ ეშმაკსა?!—სიცილით დაუმატა მენახირე ტატომ და შენატრა სოსოს, რომ ასეთი ყოჩაღი შვილი ჰყავს.

ვანო ამ სამი დღის წინ ამოვიდა ქალაქიდან თავის სოფელში და ორ დღეს, ვიდრე თოვლი ჯერ კიდევ ბარდნიდა ფიფქს, ტოლებთან ერთად თავქვეზე ცურაობდა თავისი პატარა ციგათი, გუნდაობდა, მერე წყაროს თავზე თოვლის პაპა დასდგეს, თავზე პაპას ქუდი დახურეს, ხელში ბარი მისცეს, პირში ტალახის ჩიბუხი და ჩემბერლენი დაარქვეს...

— რა ვქნა, აი ხეროპლანებს რომ ვაშენებთ, ის ჩემბერლენია?—შეეკითხა მეზობლიანთ სვიმონა.

— ჰო, პაპა, პასუხი ჩემბერლენს... ეს არის ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი და ჩვენი საბჭოთა კავშირის მტერი,—მიუგო ვანომ.

— მერე და ე ბარი რალათ მიგიციათ ხელში, თუ მინიჰტერია?

— იმიტომა, პაპა, რომ მალე თავისი სამარე თვითონვე გაითხაროს, თორემა, სულ ერთია, თავისი მუშები და გლეხები გაუთხრიან,—მიუგო ვანომ, და გაისმა გულიანი სიცილი...

ვანო ბავშობიდანვე ნიჭიერი იყო და აკი ამიტომაც წაიყვანა ბიძამ თავისთან ქალაქში, იქ კი შრომის სკოლაში და პიონერთა კოლექტივში ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა მოწაფეობაში. ის პიონერთა კედლის გაზეთში პატარა ლექსებსაც კი სწერდა და საბავშო პიესებშიც თამაშობდა...

ის თუმცა ხნით არ იყო დიდი, მაგრამ მოზრდილ ხალხში ისე ეჭირა თავი, თითქოს ერთი დიდი ვინმე, დამჯდარი ჭკუის პატრონი ორატორიაო, ემუსაიფებოდა თავის ტოლებს და თვით მოზრდილ და ხნიერ თანამესოფლე გლეხებს... ასე იყო ეხლაც. ის ჯერ დილას მიღებულ გაზეთს უკითხავდა შეკრებილ ხალხს ქოხს-ამკითხველოში და რა თავი მოიყარეს ძველი ეკლესიის გალავანთან, თემკომის წინ, ახლა იქ ჩაერია, როდესაც გლეხებმა ახალ საბჭოში გასაყვან კანდიდატებზე დაიწყეს ლაპარაკი.

Ბ.

დეკემბრის მიწურული იყო, კვირადღე მზიანი...

ნელი სიო ჰქროდა და არხევდა პატარა წითელ დროშას თემკომის თავზე, რომლის წინაც შეყრილიყო ხალხი და ელოდენ თავმჯდომარის ამოსვლას, რომელიც დილას წავიდა ცხენით დაბაში, სადაც ამ მხრის ელექტროფიკაციის საკითხი ირჩეოდა...

თოვლი აქა-იქ დნებოდა, და ჭყაპი დეგბოდა... სახლების კრამიტიან სახურავებზე აქა-იქ ჩამოკიდებული ყინულის ლოლოები ლხვებოდა, ცვიოდა... ბუხრებით ამონადენი ბოლი ზლაზვნით მიემართებოდა ყომრალი ცისაკენ... ღობეზე შემომჯდარ ბელურებს სიცივით აბუზვა აღარ ეტყობოდათ და მხიარული ჟღურტულით დასჭყიოდენ სოფელს, საკენკს ეძებდენ... ბაბრია ძაღლი სიამით იზმორებოდა მზეზე, საბძელთან, თითქოს სიცივით დამზრალ კუნთებს შლისო, და ამთქნარებდა...

დღეს სოფელს ეტყობოდა, რომ ის აღარ იყო ძველი, დარდიმანდი და უზრუნველი სოფელი, ახლა მასაც ეტყობოდა გამოცოცხლება; სწავლა-განათლებით წინ მიიწევდა... წინათ თუ პოლიტიკურ საკითხებზე ნაკლებად ჰქონდა სჯა-ბაასი, ახლა ყოველდღიურ სალაპარაკო საგნად იყო გამხდარი დღევანდელი აღმშენებლობა, საბჭოთა კავშირის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა...

სოფელში უკვე საკმარისად იყვნენ პარტიულები, იყო ახალგაზრდა კავშირის უჯრედი, პიონერთა კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექტივი და საკმაოდ აქტიური ქალთა წრე... სოფელს ეზრდებოდა ახალგაზრდობა, ახალი ძალები, და ერთი ასეთი იყო ვანოც...

— მაშ რა გეგონა, მამა, მეც ახალი სოფლის აყვავების სადარაჯოზე უნდა ვიყო, უნდა დავიცვა ჩვენი საყვარელი წითელი დროშა, —უთხრა მამას და ხელი გაიშვირა თემკომის თავზე მოფრიალე დროშაზე...

— ჩვენ ოქტომბრის რევოლუციის მეორე ათი წლის თავისკენ მივდივართ და ეს სვლა უნდა იყოს ძლევამოსილი... ამ ძლევამოსილ სვლაში სოფელი ქალაქთან ერთად ხელი-ხელჩაკიდებული უნდა მიდიოდეს, და ამას შესძლებს მხოლოდ ის სოფელი, რომელსაც საქმიანი ხალხი ჰყავს არჩეული საბჭოში, —განაგრძობდა ვანო დაზეპირებულ სიტყვებს, რომელიც თავში ჩაებეჭდა მასწავლებლის თქმით...



პიონერები თამაშობენ ჭადრაკს.

და აქ ითქვა იმ ლოზუნგების შესახებ, რომელიც არა ერთხელ გაეგონა ვანოს და წაეკითხა... შესახებ იმისა, რომ პარტიის ირგვლივ შემოკრებილ უნდა იქნას უპარტიო მშრომელი მასა, და საბჭოში გაყვანილ იქნას პარტიული ხალხი, უპარტიო აქტივი და სხვა...

სიცილით ჩამოართვა ბავშს ხელი წითელარმიელმა კოტემ: —შენ, ვანიკო, კაი წითელარმიელი იქნები, მე და ჩემმა სიყმემ...

— მზადა ვარ მარად!..—მიუგო ვანომ მარჯვენა ხელის მაღლა აღებით—მე ვეცდები ღირსეული წევრი ვიყო იმ წითელი ყაზარმისაც, რომელიც წითელ სკოლად უფრო ითვლება, ვიდრე ყაზარმად, სადაც ძველად იზრდებოდა ჯარისკაცი—მონა და ახლა კი იზრდება ჯარისკაცი—მოქალაქე, —ამაყად მიუგო ვანომ.

გ.

— არა, მართლადაც რომა სთქვას კაცმა, ხომ საქმის ხალხია ი კომუნიჰტები, ა?—წარმოსთქვა მენახირე სოსანამ, რა თავმჯდომარემ დაახასიათა მეფის დროის ხანა, მენშევიკების დრო, შეადარა იმ დროის საარჩევნო კანონი დღევანდელს და ბოლოს მოჰყვა მემკვიდრეობით დარჩენილი დანგრეული ქვეყნის ასე სწრაფი ნაბიჯით წინსვლაზე ლმშენებლობის დარგში, მეურნეობის აყვავებაზე, წარმოების აწევაზე და სხვა...

— ჰო და ამისათვისაა საჭირო, ძია, რომ მომავალ საბჭოში არჩეულ იქნენ კომუნისტები და ის უპარტიო გლეხები, რომლებიც ერთგულნი არიან საბჭოთა ხელისუფლებისა და მართლაც გული შესტკივათ სოფლისთვის... ამ საბჭოში არცერთ ყოფილ ხალხს: ნაოავადარს, ბობოლა გლეხს, მღვდელს და ვაჭარს არ უნდა ჰქონდეს ადგილი... საბჭოს გარშემო კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ შემოკრებილ უნდა იქნას საშუალო და ღარიბი გლეხობა, მოჯამაგირეებისა და ყოფილი ხიზნების ჩართვით, —წარმოსთქვა კვლავ ვანომ...

— ეს ბავში პირდაპირ კომუნის ყვავილია, ოქტომბრის ბაღში აღზრდილი და ამ სოფლისთვის მალამოდ მოვლენილი...—უთხრა ღიმილით თემკომის თავმჯდომარემ ამ სოფლის შეფს, ერთ-ერთი თუთუნის ქარხნის მუშას, აქ საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ჩამოსულს...

— და რომელ სოფელსაც ასეთი შვილები ეზრდება, განა იმის იმედი არ უნდა გვქონდეს?!— დაუმატა მან და სიამით გადახედა ყრილობაში ამაყად მდგარ ვანოს, რომელსაც დიონჯი შემოეყარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავის ამხანაგ აჩიკოს რაღაცაზე ელაპარაკებოდა...

— ჰო და, ამხანაგებო, როგორც გითხარით, ახლა უკვე იცით, რაც უნდა ჰქნათ. უნდა მოხდეს ძველი საბჭოს გადარჩევა, უნდა აირჩიოთ ღირსეული, ენერგიული წევრები. მე, როგორც შეფი, გეუბნებით, რომ ჩვენი დახმარების იმედი გქონდეთ... იმ წყაროს გამოსაყვანი თუჯის მილები, ამ ზაფხულს რომ დაგპირდით, უკვე მოსულია სადგურზე და ხვალ ამოიტანენ... აბა, თქვენ იცით, როგორ ააყვავებთ ჩვენს საშეფო სოფელს.—განაგრძობდა სიტყვას მუშა.—ჩვენი პარტიის ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ“ ძალაში რჩება, ჩვენ რაც შეიძლება უფრო მჭიდროდ უნდა შეკავშირდეთ, ქალაქის მუშები და სოფლის გლეხები, და შეერთებული ძალით გავსწიოთ წინ...

— ჰო და, სოფლის აყვავება დამოკიდებულია ამ საბჭოზე, რომელსაც ახლა აირჩევთ... სოფელს სჭირია არხის გაყვანა, გზების გაყვანა, ხიდის გაკეთება მდინარეზე, სოფლის ელექტროფიკაცია და, საერთოდ, აღმშენებლობა... ამაზე უნდა იზრუნოს საბჭომ...

დ.

— რაო, შვილო, რის ინდუსტრიზაო?—შეეკითხა მამა ვანოს სადილობის დროს, რა გაახსენდა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გლეხებში გასაღებაზე მუშის მიერ ნათქვამი სიტყვები.

— რა და, მამილო, ინდუსტრიზა კი არა, ინდუსტრიალიზაცია; ეს ნიშნავს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობას, ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგებას, წარმოების გაუმჯობესებას, მეურნეობისა აწევასა და, საზოგადოდ, ქვეყნის გამექანიკებას, აყვავებას... ამისათვის სახელმწიფომ გამოუშვა ისეთი ქაღალდები, რომელსაც ინდუსტრიალიზაციის ობლიგაციები ჰქვიან და რომელიც უნდა შეიძინოს ყოველმა მუშამ და გლეხმა, რომ დაეხმაროს თავის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს... ესაა შინაური სესხი... იმაში გადახდილი ფული დაკარგული კი არაა, არამედ ინახება ხელუხლებლივ და ყოველწლივ იღებ სარგებელს... სახელმწიფო იმ ფულით აგებს ისევ ჩვენდა სასარგებლოდ ქარხნებს, სადგურებს, აუმჯობესებს ჩვენს ცხოვრებას და სხვა... ამავე დროს წელიწადში რამდენჯერმე გათამაშდება ლატარია და ბევრს ერგება ასი და მეტი ათასი მანეთიც... ესეც მეტი სარგებლობაა... სახელმწიფო თან ქვეყანას აშენებს, თანაც ობლიგაციის პატრონს სარგებელს აძლევს...—მიუგო ვანომ.

— აი, შვილო, კოტიას სიკომ რომ მოიგო შარშანა რაღაცაი?

— ისა, მამა, მეექვსე საგლეხო სესხისა იყო... ის მარტო ლატარიის მოგებაზეა დამოკიდებული და ინდუსტრიალიზაციის სესხზე გამოცემული ობლიგაციები კი უზრუნველყოფილია იმით მაინც, რომ ძირითადი თანხა შენთვის ხელუხლებელია და როცა გინდა გამოიტან კიდეც...

ე.

სოფელში არცერთი ოჯახი არ იყო, სადაც ვანოზე არაფერი ეთქვათ... ყველას უკვირდა სოსოს ბიჭის, ღირსეული პიონერის, ჭკვიანური ლაპარაკი...

პიონერები კითხულობენ თავის ჟურნალ „პიონერს“.

ახალმა საბჭომ მართლაც მიჰყო ხელი სოფლის აყვავებას, ის შეუდგა არხის გაყვანას, გზის შეკეთებას, ხიდის საძირკველი უკვე ჩაყარეს და ტელეფონი გამოიყვანეს, კომისია ამოირჩიეს ელექტრონის გამოსაყვანად შუამდგომლობის აღსაძვრელად, რომელსაც აგრეთვე დაავალეს შეევლოთ სკოლაში და მასწავლებლისთვის გადაეცათ სოფლის მადლობა ვანოს ასე მომზადებისთვის, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა საბჭოთა გადასარჩევი კამპანიების ჩატარებაში...

— აი, როგორი უნდა იყოს ყოველი პიონერი, უთხრა მასწავლებელმა ყველას, რა კომისია გავიდა...

ვანომ ჯერ ამაყად გადახედა ამხანაგებს და შემდეგ მორცხვად დაღუნა თავი, წიგნს ფურცვლა დაუწყო...

ს. ერთაწმინდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი კლდის მონადირე

წითელი კლდის ხვრელიდან, სადაც ხეობა იყო მოფარული ნაძვებით, ორი პანტერა გამოვიდა. ისინი მიუახლოვდენ იმ ადგილს, სადაც იდგა წყლის გუბე და დაშორდენ ერთმანეთს. დედალი პანტერა გაუდგა კლდოვან გზას, მამალი კი შებრუნდა დაბურულ ტყეში. იმ გზაფხულს ნადავლი თითქმის არ იშოვებოდა, და ამიტომ ნადირობა მათ ძლიერ უძნელდებოოათ. მათ სრულიად არ ეშინოდათ თავისი შვილების შინ დატოვება, რადგანაც წითელი კლდის გარშემო ორმოცი-ორმოცდაათი მილის მანძილზე არ არსებობდა არცერთი ცხოველი. ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდა მეტისი, რომელიც დიდი სიფრთხილით აბიჯებდა. მეტისის პატარა მახვილმა თვალებმა მალე შეამჩნიეს გუბე; ის გადახტა მეორე მხარეს და გაჩნდა რამოდენიმე ფუტით დაბლა იმ ადგილიდან, საიდანაც რამდენიმე წუთის წინათ ისკუპა თვით პანტერამ და დასტოვა თათების კვალი.

როცა მეტისმა შეამჩნია ეს კვალი, დაიმალა ბუჩქებში და მოამზადა თოფი.

იგი ელოდებოდა, რომ ახლა საიდანმე ეცემოდა მხეცი. რამოდენიმე წუთის შემდეგ იგი დიდი სიამოვნებით დარწმუნდა, რომ ახლომახლო არ იყო პანტერა. ის გამოვიდა ბუჩქებიდან და დაიწყო კვალის დათვალიერება. იგი გაუდგა კვალს იმ ადგილამდე, სადაც რამდენიმე კვალი ერთდებოდა. ამ კვალის შეერთებამ დაუშალა მეორე პანტერის კვალის ნახვა, და ამიტომ ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბუნაგიდან გამოვიდა მხოლოდ ერთი პანტერა, მეორეს კი იქ მიუსწრებს.

ამ აზრმა ძლიერ გაახარა მეტისი და აუნთო თვალები, რადგანაც მას ნადირობა უყვარდა და სროლაც კარგი იცოდა.

დიდი ხანია იგი ეძებდა პანტერებს და იმათ ბუნაგს. მას უნდოდა პატარა პანტერების პოვნა; მეტისმა გადასწყვიტა დაეჭირა პატარები, გამოეზარდა რძით და შემდეგ გაეყიდა, რადგანაც ამ ცხოველებს ცირკისათვის ყიდულობდენ.

მეტისმა დიდი ყურადღებით დაათვალიერა ადგილი და დარწმუნდა, რომ პანტერას ბუნაგი რომელიმე ნაპრალში უნდა ყოფილიყო. მისი ყურადღება მიიპყრო ნახევრად ჩამოტეხილმა ნაძვმა, რომელიც კლდეზე იყო გადავარდნილი. აქ ახლოს უნდა იყოს,—გაუელვა მას, გაიარა რამოდენიმე ნაბიჯი და გაჩერდა. ის უსმენდა ყველა ბგერას და ათვალიერებდა ყოველ საგანს. მან იცოდა, რომ თავისი კარგი სმენით და თვალმახვილობით შესძლებდა წინააღმდეგობა გაეწია ყოველი ცხოველისთვის; ის ისევე კარგად დაინახავდა მათ, როგორც ისინი მას.

რამოდენიმე წუთში ის ავიდა მაღლა და გაჩნდა კლდის ნაპირას, სადაც გადმოვარდნილიყო ბებერი ნაძვი. მეტისმა დიდი სიფრთხილით დაათვალიერა იქაურობა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ აქ ახლოს უნდა ყოფილიყო იმათი ბინა. მან დაიჩოქა, დაინახა ხვრელი, რომელიც თითქმის მის თავთან იყო; ჭიანჭველებმა გაურბინეს ტანში, როდესაც დაფიქრდა, რა განსაცელში იყო რამოდენიმე წუთის წინათ; რატომ არ მახლო ცხოველმა ხელი?—ფიქრობდა იგი. მოიხადა ძველი ქუდი, წამოაცვა თოფს, შეჰყო ხვრელში და დაუწყო შიგ ნძრევა; ასე გაიმეორა რამდენჯერმე, მაგრამ არავითარი პასუხი არ მოესმა. მეტისი დარწმუნდა, რომ არცერთი პანტერა არ იყო შიგ. როგორც ჭკვიან და გამოცდილ მონადირეს, მას არ შეეძლო ფიქრი, რომ ცხოველები ყოველთვის და ყოველ მდგომარეობაში იქცევიან ერთნაირად, და მიტომ ის მოიქცა დიდი სიფრთხილით, მიუმიზნა ხვრელს თოფი და ნელ-ნელა იწევდა წინ; როცა შეჰყო თავი ხვრელში, ჯერ სიბნელისაგან მან ვერაფერი დაინახა; როცა თვალები შეაჩვია სიბნელეს, მან დაათვალიერა მთელი ხვრელი და ერთ კუთხეში დაინახა რალაცა გროვა.

მოიხედა უკან, შეხტა ხვრელში, წაავლო პატარა პანტერებს ხელი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძლიერ იკაწრებოდენ, ჩაჰყარა ცარიელ ტომარაში, რომელიც ამ მიზნისათვის ჰქონდა წამოღებული, შეუკრა ტომარას პირი და გამოვარდა გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წ. 9 იანვარს (ძველი სტილით) ლენინგრადის (მაშინ პეტროგრადს ეძახოდენ) მრავალრიცხოვანი მუშები ოჯახებით გაეშურენ მეფისაკენ თავისი მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესების სათხოვნელად. მაგრამ მეფემ ტყვიები დაუშინა უიარაღო ხალხს. სურათზე გამოხატულია ის მომენტი, როცა ჯარმა სროლა აუტეხა ხალხს.

ახლა ნადავლი ჰქონდა მას ხელში და უნდა მორიდებოდა პანტერებთან შეხვედრას. იგი აღარ ცდილობდა დაეცვა სიჩუმე, მიდიოდა დიდი სისწრაფით, არ აქცევდა ყურადღებას ხმაურობას, რომელიც მისი ფეხის ნაბიჯისაგან გაისმოდა. პატარა ტყვეები ტომარაში ძალიან სწუხდენ, ცდილობდენ ბრჭყალები ჩაერჭოთ მისთვის წელში, მაგრამ მას ტყავის ტანსაცმელი ეცვა.

მას უნდა გაევლო 15—16 მილი, რომ სახლს მიახლოებულიყო. დიდი მოუთმენლობით და გულისფანცქალით ელოდებოდა ის სახლში მისვლას, რადგანაც იცოდა, რომ მხოლოდ მაშინ აღარ იქნებოდა ის განსაცდელში, როდესაც თავისი პატარა ტყვეებით შევიდოდა სახლში.

ცოტათი დამშვიდდა, როცა შევიდა ტყეში, რომელიც 6—7 მილით იყო დაშორებული წითელი კლდიდან. მოიშორა წელიდან ტვირთი, მიაყუდა თოფი ხეს, მოიხსნა სარტყელი და წამოწვა დასასვენებლად.

უეცრად მას მოესმა შრიალი, წამოხტა, წაავლო თოფს ხელი. მან დაინახა უშველებელი პანტერა, რომელიც გამოჩნდა ტყის პირას და ისევ დაიმალა.

ამ მოულოდნელობამ ძლიერ შეაწუხა მეტისი. „ნუთუ მხეცი სულ მე მომდევდა?" —გაიფიქრა მან, ან იქნებ იმალებოდა ბუჩქნარებში, რომ გადაეჭრა მისთვის გზა. ეს გამოურკვეველი მდგომარეობა ძლიერ აწუხებდა მეტისს, მან არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: გაქცეულიყო სახლში, თუ მოეცადა აქ, რადგანაც ის იმედს არ კარგავდა, რომ შესძლებდა თავისი მტრის მოკვლას.

როცა დედაპანტერა დაბრუნდა შინ, მან იგრძნო ადამიანის სუნი. სისწრაფით შევარდა ხვრელში, რამოდენიმე წუთის შემდეგ გამოვარდა უკან და საცოდავად დაიყმუვლა. მიიხედ-მოიხედა, ისევ შევარდა შიგ, დასუნა ის ადგილი, სადაც მისი ლეკვები იწვენ, აგრეთვე ადამიანის ფეხის კვალი და თვალები აენთო შურისძიებით, ავარდა კლდეებზე და საშინლად დაიყმუვლა. ეს ყმუილი მოესმა მამალ პანტერას, რომელიც იმ დროს ნაძვებში იყო დამალული და ეძებდა ნადავლს, გამოვარდა იქიდან და გაექანა საშველად, მაგრამ დედალმა პასუხს არ დაუცადა, ჩამოვიდა კლდიდან, მივარდა მასთან, მიადო თავისი თავი მის თავს, ითქოს გადასცა მას რაღაცა თავის ენაზე; გეგონებოდათ, რომ ისინი ადგენდენ მოქმედების გეგმას.

გაუდგენ გზას ერთი ერთ ნაპირს, მეორე მეორეს; რამოდენიმე წუთის შემდეგ დედაპანტერამ იპოვნა ადამიანის ფეხის კვალი და აცნობა მამალ პანტერას, რომელიც გადახტა მეორე მხარეს და შეუერთდა მას. პანტერები ირბოდენ, მიირბინეს

ტყის პირას და შეჩერდენ. დედლი პანტერა თუმცა უფრო მკაცრი, მაგრამ უფრო ჭკვიანიც იყო და მიტომ დაიმალა, რომ ადამიანს არ შეეშჩნია. მალე მან შეამჩნია, რომ მამალი პანტერა მას აღარ მისდევს, შეჩერდა და მოიხედა უკან. ტყის პირზე გამოჩნდა მამალი პანტერა, რომელიც ანთებული იყო შურისძიებით. მან ვერ დაინახა ადამიანი, რომელიც მას უდარაჯებდა; ბოლოს, როდესაც იგრძნო ადამიანის სიახლოვე, დაიმალა ბუჩქში. დედალმა იგრძნო, რომ მისი მეგობარი განსაცდელშია და დაუწყო მას ძახილი, იდგა გაუნძრევლად და გაიყურებოდა მისკენ. მამალი გამოვიდა ბუჩქიდან და დაიწყო ცოცვა; უკვე ნახევარი გზა ჰქონდა მას გავლილი, როცა უეცრად ნაძვებიდან გაისმა თოფის ხმა; მამალი წამოდგა უკანა თათებზე და პირაღმა დაეცა.

დედალმა იგრძნო, რაც მოხდა; ადამიანმა გამოიჩინა თავისი ძალა: მამალი მოკვდა. ამ ამბავმა ძლიერ შეაწუხა დედალი, მაგრამ ის არ დაიბნა, ჩამოვიდა კლდიდან, მოეფარა ხეს, დაუწყო მეტისს ლოდინი. ბოლოს გამოჩნდა მეტისი, რომელსაც წელზე ეკიდა ტომარა, შიგ ფართხალებდენ და საცოდავად კვნესოდენ პანტერის შვილები.

დედაპანტერამ როცა გაიგონა თავისი შვილების წკმუტუნი, დარწმუნდა, რომ ისინი ცოცხლები იყვნენ და შეიკავა თავი. მან გაატარა მეტისი და უკან დაედევნა. უკვე სახლს უახლოვდებოდენ, როცა მოისმა ძროხების ზარის ხმა. პანტერამ იმ წუთშივე შეუხვია ძროხისაკენ, შეახტა მას წელზე და დაუმსხვრია კისერი. დაჭვლიჯა თავისი მსხვერპლი, მაგრამ ხორცს ხელი არც კი ახლო, მიატოვა და გამოეკიდა მეტისს. როცა ის მიახლოვდა, მეტისი უკვე შედიოდა თავის სახლში ტომრით ხელში. როცა დაინახა, რომ მეტისმა მიიხურა კარი, თავზარი ეცა და საცოდავად დაიჩხავლა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ სახლიდან გამოვიდა მეტისი თავისი ცოლით. ისინი მიუახლოვდენ ბოსელს, სადაც იდგენ ხარები; ერთ მათგანს სისხლი სდიოდა. მეტისმა დაათვალიერა ჭრილობა და მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე; მიუბრუნდა ცოლს და უთხრა: ეს დედის საქმეა და თუ არ მოვკალი, იგი მთელ ფერმას გაგვინადგურებსო. ჩაჭკეტა შეშინებული ხარები ბოსელში და ელოდებოდა ძროხის ზარის ხმას. მაგრამ ძროხა არ მოდიოდა; დანაღვლიანდა მეტისი, იგრძნო მან, რომ ძალიან ძვირად დაუჯდება მას წყვილი პატარა. ღამე პანტერა ნელ-ნელა და სიფრთხილით ეპარებოდა მეტისის სახლს, როგორც კატა ეპარება ხოლმე თაგვის სოროს.

როცა იგი მივიდა ახლო სახლთან, მას მოესმა მძინარე მეტისის და მისი ცოლის სუნთქვა. ცოტა ხნის შემდეგ მან გაიგონა თავისი შვილების ხრუტუნიც, რომლებიც ისე ხრუტუნებდენ მხოლოდ მაშინ, როცა მაძღრები იყვნენ..... მთელი ღამე უტრიალებდა ამ სახლს გარშემო, და როცა მივიდოდა იმ ადგილას, საიდანაც ესმოდა მას მეტისი სუნთქვა, თვალები სიბრაზით აენთებოდა ხოლმე.

გათენებისას ის მოშორდა სახლს, მაგრამ იქვე ახლოს დაიმალა ისეთ ადგილას, საიდანაც კარგად მოჩანდა სახლის კარი, სადაც იმყოფებოდენ მისი შვილები.

მზის ამოსვლისთანავე გამოვიდა სახლიდან მეტისი თავისი ცოლით. ისინი წავიდენ სანადიროდ თავის მოწინააღმდეგესთან, რომელიც თვითონვე გამოიწვიეს ბრძოლაში.

ძროხის მოუსვლელობამ, ხარის ჭრილობამ და თათების კვალმა სახლის გარშემო დაარწმუნა მეტისი, რომ ნამდვილი ბრძოლა იწყებოდა.

როცა მეტისი და მისი ცოლი ათვალიერებდენ ძროხას, პანტერა უკვე იდგა იმათ სახლის კარებთან და უსმენდა თავის შვილებს. მას მოესმა მათი წკმუტუნი, ეცა კარებს, მაგრამ კარი დაკეტილი აღმოჩნდა. იქვე გვერდით იყო ფანჯარა. პანტერა დადგა უკანა თათებზე და შეიხედა შიგ; დიდი ყურადღებით ათვალიერებდა იგი, ვიდრე ერთ კუთხეში არ დაინახა თავისი შვილები, რომლებიც ჩალაზე იწვენ. შვილების დანახვაზე მან დაჰკარგა მთელი სიფრთხილე, მიახტა ფანჯარას, შეამტვრია შუშა, შეჰყო თავი, შემდეგ მხრები, მოსტეხა ჩარჩო და ჩაათრია იატაკზე, გაითავისუფლა თავი, მივარდა, წაავლო ერთ შვილს პირი, გადმოათრია ფანჯრიდან და დამალა დიდ ბალახში ბოსელის უკან. შემდეგ ამნაირადვე გადმოათრია მეორე შვილიც და მიუყვანა ძმას ბალახში.

ცოტა ხნის შემდეგ მან დაინახა, რომ ცოლ-ქმარი ბრუნდებიან შინ. იგი არ გაინძრა ადგილიდან, წამოწვა ბალახზე და დაუწყო შვილებს ჭმევა, რომ ჩუმად ყოფილიყვნენ. მეტისს არა აქვს ჩვეულებად ბოსლის უკან სიარული,—გადასწყვიტა მან, რადგანაც აქ არსად ჩანდა მისი ფეხის კვალი. ის არხეინად იწვა მაღალ ბალახში. თუმცა ეშმაკი იყო მონადირე, მაგრამ იმას ვერ მოიფიქრებდა, რომ ისეთ ფრთხილ ნადირს, როგორიც იყო პანტერა, შეეძლო თავისი მტრის ეზოში დამალვა.

ჩატეხილი ფანჯრის დანახვაზე მას თავზარი ეცა; როცა კუთხეში მას არ დახვდა პანტერის შვილები, ვერ წარმოიდგენთ, რა ტანჯვას განიცდიდა ის, იტანჯებოდა მეტისი, დარბოდა, როგორც გადარეული. მხოლოდ აზრადაც არ მოსვლია მას ბოსელთან მისვლა. მისი ცოლი კი იქვე დირეზე ჩამომჯდარი დასცინოდა მას.

ბოლოს გადასწყვიტეს მათ წასულიყვნენ იქ, სადაც მოკლული პანტერა იყო და გაეძროთ მისთვის ტყავი. ამით ისარგებლა დედაპანტერამ და მოაშორა სახიფათო მეზობელს შვილები. ამ ღამესვე, ვიდრე ცოლ-ქმარი გააკეთებდენ ჩამტვრეულ ფანჯარას, მან წაიყვანა თავისი შვილები უფრო შორს და დაბინავდა უდაბნო ხეობაში, სადაც ადამიანი არასოდეს არ მიდიოდა.

ჩ. რობერტსი

ვ. ლენინი

ორმოცდათვრამეტი წლის წინათ, როდესაც რუსეთში ჯერ კიდევ მეფეები ბატონობდენ, როდესაც მშრომელი ხალხის ცხოვრება მემამულისა

3 წლის ლენინი თავის და ანასთან ერთად.

და კაპიტალისტის უღლის ქვეშ მძიმე პირობებში ჰიმდინარეობდა, ქ. სიმბირსკში, საშუალო შეძლების ოჯახში დაიბადა ბავში, რომელსაც შემდეგ წილად ხვდა მუშებთან ერთად დაემხო კაპიტალისტების და მემამულეების სახელმწიფო.

ეს იყო ოჯახი სიმბირსკის გუბერნიის სახალხო სკოლების ზედამხედველის ულიანოვისა.

ულიანოვების ოჯახი იყო მუყაითი, შრომის მოყვარული; ამ ოჯახში ბავშები თავისი მშობლებისგან სწავლობდენ მშრომელი ხალხის სიყვარულს.

აი, ასეთ ოჯახში დაიბადა ვლადიმერ ილიასძე ულიანოვი 1870 წლის 23 აპრილს.

ვლადიმერ ილიასძე წარმატებით სწავლობდა... მას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი გიმნაზიელი იყო, ძალიან აინტერესებდა მუშებისა და გლეხების მდგომარეობა. რომ ცუდი და აუტანელი იყო მუშებისა და გლეხების ცხოვრება რუსეთში, ეს კარგად იცოდა მან.

ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო შეკრება, ლენინი და მისი ამხანაგები თავს იყრიდენ. აქ ვალოდია აღძრავდა საკითხს გლეხთა უფლებაზე, მუშათა მძიმე მდგომარეობაზე და სხვა.

მარიამი, უმცროსი და ლენინისა, გადმოგვცემს: „ვლადიმერი ბუნებითვე ძალიან ნიჭიერი იყო, მაგრამ ამის გარდა ის საქვეყნო ბელადად გადაიქცა იმიტომ, რომ უყვარდა სწავლა-მეცადინეობა და მუშაობა. თავის დღეში არ მიატოვებდა ის საქმეს, რომელსაც ხელს მოჰკიდებდა და ყოველთვის ბოლომდე მიიყვანდა მას.

„ჯერ ისევ გიმნაზიაში ყოფნის დროს ვლადიმერი მთელი საღამოების განმავლობაში გატაცებული კითხულობდა წიგნებს და ემზადებოდა იმ რევოლუციონური მუშაობისთვის, რომელიც თავისი სიცოცხლის მიზნად დაისახა“.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ის ამთავრებდა გიმნაზიას, ულიანოვების ოჯახს თავს დაატყდა უბედურება: მეფე ალექსანდრე მე-III-ის მიერ სიკვდილით დასჯილ იქნა მისი უფროსი ძმა ალექსანდრე ილიასძე ულიანოვი.

დაამთავრა გიმნაზია ვლადიმერ ილიასძემ და სწავლის განსაგრძობად შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში.

სწავლის პირველ წლებშივე ის გამორიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან, რადგანაც დანარჩენ სტუდენტებთან ერთად მიიღო მონაწილეობა აჯანყებაში; მან მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ დაამთავრა სწავლა.

1895 წელს ლენინგრადში ლენინის ხელმძღვანელობით დაარსდა რუსეთის პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია (მაშინ კომუნისტებს სოციალ-დემოკრატებს ეძახდეი). ამ ორგანიზაციას დაერქვა: „მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირი“ მაგრამ დიდხანს ვერ იარსება კავშირმა. 1895 წლის 9 დეკემბერს ღამით ამ კავშირის უმთავრესი მეთაურები ლენინთან ერთად დაატუსაღეს.

1903 წლის ზაფხულზე ლენინის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობა. ამ ყრილობაზე გამოირკვა, რომ პარტიის ერთ ნაწილს ვერ გაუგია პროლეტარიატის წინაშე დასმული ამოცანები და თავისი ყოყმანით და მერყეობით ორჭოფობა, შიში შეაქვს მუშათა მოძრაობაში. მაშინ ლენინმა მათ წი-



ლენინი — გიმნაზიელი.

ნააღმდეგ დაიწყო სასტიკი ბრძოლა. ის შორდება მენშევიკებს (ეს სახელწოდება მიიღო პარტიის იმ ნაწილმა, რომელმაც გამოიჩინა მერყეობა; მენშევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კები უწოდეს ამ ნაწილს, რადგანაც ცენტრალური კომიტეტის არჩევნებში უმცირესი ხმა მიიღეს), რომელნიც, როგორც უკვე გამოირკვა, ბურჟუაზიასთან

ლენინი 1891 წ.

შეთანხმების ნიადაგზე იდგენ. ლენინი იკრებს თავის გარშემო მხოლოდ იმათ, ვისაც სწამს რუსეთის მუშათა მოძრაობის ძალა, ვინც მზად არის ბრძოლისათვის არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ვინც კავშირს იჭერს არა ბურჟუაზიასთან, არამედ ღარიბ გლეხობასთან.

ამხ. ლენინს 1914—18 წლის მსოფლიო ომმა ავსტრიის მიყრუებულ კუთხეში მოუსწრო. აქედან ის იწყებს შეურიგებელი ბრძოლის წარმოებას ომის წინააღმდეგ. მან პირველმა უწოდა ამ ომს ავაზაკობა, მან პირველმა გამოუტანა სიკვდილის განაჩენი იმ კაპიტალისტურ წესწყობილებას, რომელიც აუცილებლად უნდა ჩაიხრჩოს მის მიერ დაღვრილ სისხლის მორევში.

სახელმწიფოთა შორის მომხდარი ომი უნდა გადაიქცეს სამოქალაქო ომად პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის,—აი ლენინის მოწოდება.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რითი დამთავრდა ომი. ლენინგრადის მუშები და ჯარისკაცები აჯანყდენ და დაამსხვრიეს თვითმპყრობლობის ტახტი. ძალა-უფლება გადავიდა კაპიტალისტების, მდიდრების და მემამულეების ხელში, რომელთაც გადასწყვიტეს ავაზაკური ომის განგრძობა.

კაპიტალისტებს და მემამულეებს სოციალისტური პარტიებიც ეხმარებოდენ. (მაგ. სოციალისტ-რევოლუციონერები, მენშევიკები და სხვ.)

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ისევ წარმოიშვა საფრთხე. მართალია, მუშებმა მეფე ჩამოაგდეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა: ძალა-უფლება და მიწა ისევ მემამულეების და კაპიტალისტების ხელში დარჩა.

საჭირო იყო ამ ახალი საფრთხის თავიდან აცილება და გზის ჩვენება მუშათა კლასისათვის.

ლენინი ამ დროს საზღვარგარეთ იყო.

რუსეთში ჩასვლისთანავე ლენინმა თავის გარშემო შემოიკრიბა ლენინგრადის და სხვა ქალაქების მუშები და ჯარისკაცები, დარაზმა პარტიული ორგანიზაციები და მისცა მათ მოქმედების პროგრამა.

მისი სამოქმედო პროგრამის დედააზრი ასეთი იყო: დიდი გამარჯვებაა, რომ მუშებმა შესძლეს მეფის ჩამოგდება, მაგრამ ეს არ კმარა, მუშებმა უნდა დაამხონ აგრეთვე მემამულეები და კაპიტალისტები. საჭირო არის დაუყოვნებლივი ბრძოლა, რომ ძალა-უფლება გადაეცეს მშრომელ ხალხს, ქარხნები მუშებს, მიწები გლეხებს.

დაიწყო დიდი რევოლუციისათვის მასების მზადება.

ლენინის მიერ ასეთი აზრების ქადაგებას მრავალი მტერი და მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი დაპატიმრება; საჭირო იყო, რაც შეიძლება კარგად დამალოდა ის თავის მოსისხლე მტრებს.

ის ასეც მოიქცა, მაგრამ თავის ფარულ ბინაზეც განაგრძობდა მუშაობას და მოუწოდებდა მუშებს ბრძოლისაკენ. 1917 წლის ოქტომბერში, გადატრიალების წინ, ის უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა პარტიის და რევოლუციის ყველა სასიცოცხლო ძალას. ლენინის სწორი ხელმძღვანელობის შედეგი იყო მთელი ძალა-უფლების მუშების და გლეხების ხელში გადასვლა.

ვლადიმერ ილიასძის მოღვაწეობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ყველასათვის ცხადი და ნათელია. ის უცვლელად სდგას სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის სადარაჯოზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით არსდება მუშათა კლასის მსოფლიო შტაბი—მე-III კომუნ. ინტერნაციონალი, მისი ხელმძღვანელობის არცერთ ხანაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას და

ლენინი კითხულობს გაზეთს.

კომუნისტურ პარტიას გამოეცეს ერთი დეკრეტი, ერთი საყურადღებო გადაწყვეტილება, რომლის გადაჭრაშიც უშუალო მონაწილეობა არ მიეღოს ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობა არ გაეწიოს ვლადიმერ ილიასძე ლენინს.

როდესაც საბჭოთა რუსეთს ყოველი მხრით მტრები ეხვია, როდესაც მუშების და გლეხების სისხლით მონაპოვარ ხელისუფლებას განადგურებას უქადდენ, მაშინ მხოლოდ ერთადერთი ვლადიმერ ილიასძე, ისევისე მაღალი, დაუღალავი იდგა მხნედ, შეუპოვრად, ფიქრობდა და მუშაობდა ყველას მაგიერ. მისი მძლავრი ხმა, მისი მოწოდება აღვიძებდა ყველას, ამხნევებდა სულით დაცემულებს, აკავშირებდა მათ, უნერგავდა გამარჯვების რწმენას და იმედს.

მხოლოდ ისეთი ბელადის ხელმძღვანელობის ქვეშ, როგორიც იყო ვლადიმერ ილიასძე, შეიძლებოდა გამარჯვება.

მოზარდ თაობას ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ის მოზარდ თაობაში ხედავდა იმ ძალას, რომელმაც უნდა დააგვირგვინოს უფროსების მიერ დაწყებული საქმე. აი რას ლაპარაკობს ის ამის შესახებ: „ის თაობა, რომლის წარმომადგენლები 50 წლისა არიან, უნდა ვიფიქროთ, ვერ ნახავს კომუნისტურ საზოგადოებას: მანამდე ეს თაობა ვერ მიაღწევს, ის თაობა კი, რომელიც ახლა 15 წლისაა, კიდეც ნახავს და თვითონვე შექმნის ამ საზოგადოებას და მან უნდა იცოდეს, რომ მთელი ამოცანა მისი ცხოვრებისა არის შექმნა ამ საზოგადოებისა". ლენინის ეს სიტყვები ყოველ ახალგაზრდას უნდა ახსოვდეს, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ რაც შეიძლება მეტი გავაკეთოთ იმისთვის, რომ განვახორციელოთ ლენინის ანდერძები.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა



ლენინი ლაპარაკობს წითელ მოედანზე, მოსკოვში, 1918 წ.

დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში სწარმოებს გაფთრებული რევოლუციონური ბრძოლა, რომელსაც წინ უძღვება ლენინის ხელმძღვანელობით დაარსებული კომუნისტური ინტერნაციონალი.

სხვა ქვეყნების მუშათა კლასი აუცილებლად გაიმარჯვებს, რადგან ამას გვიკარნახებს თვით დღევანდელი ცხოვრების აუცილებლობა, ჩვენ კი უნდა ვეცადოთ გავამაგროთ, დავეხმაროთ ამ ბრძოლებში სხვა ქვეყნის მუშებს, ამასთანავე განვაგრძოთ და გავამტკიცოთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა და ვიდგეთ სადარაჯოზე—მოპოებული თავისუფლების დასაცავად.

ჩვენი მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში მაშინ იქნება ნაყოფიერი და შედეგებს მაშინ გამოიღებს, როდესაც გვეცოდინება, თუ როგორ უნდა ვაშენოთ ეს ახალი წყობილება, ამისათვის კი უნდა ვისწავლოთ, თუ როგორი აზრისაა ამის შესახებ ლენინი: „რათაც გინდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა დავისახოთ ამოცანად: პირველად სწავლა, მეორედ—სწავლა, მესამედ—სწავლა, შემდეგ შევამოწმოთ, ეს სწავლა მარტო ფრაზებად ხომ არ დარჩა", ე. ი: უნდა შევამოწმოთ, ჩვენ რაც ვისწავლეთ, ის გამოვიყენეთ თუ არა ცხოვრებაში.

ყველა ამის შესრულება შეიძლება მაშინ, როდესაც ჩვენ შეკავშირებული ვიქნებით. ლენინი გვასწავლის, რომ ბურჟუაზიის დამარცხება შეუძლებელია ხანგრძლივი, შეუპოვარი, დაუნდობელი ბრძოლის გარეშე, რისთვისაც საჭიროა შეკავშირება, დისციპლინა, სიმტკიცე და ნებისყოფის მთლიანობა. ჩვენც უნდა მივისწრაფოდეთ აქეთკენ. ნორჩ ლენინელთა მოვალეობაა შეამჭიდროონ რიგები, დაირაზმონ ილიჩის დროშის ქვეშ მუშათა და გლეხთა ბავშვები.

ლენინის ეს მტკიცე, დაუღალავი და სარგებლიანი მუშაობა არ აძლევდა მოსვენებას ჩვენს მტრებს. მათ კარგად ესმოდათ, რომ მისი მნიშვნელობა რევოლუციისათვის განუსაზღვრელი იყო. ამიტომ განიზრახეს მისი სიკვდილი.

ორჯერ მოაწყვეს ვლადიმერ ლენინზე თავდასხმა.

ლენინი დაუღალავად მუშაობდა. არცერთ დღეს, არცერთ საათს არ კარგავდა ის ტყუილაუბრალოდ და განუწყვეტელ მუშაობას ეწეოდა.

ამ მუშაობამ, რომელიც ადამიანის ძალ-ღონეს აღემატებოდა, შეუმჩნევლად დაუსუსტა ძალ-ღონე მაშვრალთა ბელადს და მეგობარს. ოცდახუთმეტ წელზე მეტმა რევოლუციონურმა მუშაობამ დაასნეულა ისეთი ადამიანიც კი, როგორიც იყო ლენინი: მისმა გულმა ვეღარ აიტანა, მისი სისხლის მილები გაიკრიცა. მთელი მსოფლიოს მუშები და გლეხები გულისფანცქალით ადევნებდენ თვალყურს ლენინის ავადმყოფობას. ყველას იმედი ჰქონდა, რომ ექიმები შესძლებდენ მის განკურნებას, მაგრამ... 1924 წლის 21 იანვარს, ნაშუადღევის 6 საათზე და 50 წუთზე ლენინი გარდაიცვალა.

მოკვდა ლენინი, მაგრამ მის მიერ დაწყებული საქმე ცოცხლობს მთელი ქვეყნის მუშებისა და გლეხების გულში; ისინი კიდეც დააბოლოებენ მის მიერ დაწყებულ საქმეს.

ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲠᲚ ᲚᲘᲑᲙᲜᲔᲮᲢᲘ.

ყოველი წლის 15 იანვარს ვიგონებთ ჩვენ ამ დიდ მებრძოლს, რადგანაც მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ახალგაზრდათა მოძრაობის განკითარებაში მეტად დიდია. ის იყო რევოლუციონური ახალგაზრდობის უდიდესი ბელადი.

კარლ ლიბკნეხტი.

ამიტომ ყოველმა პიონერმა, ყოველმა ბავშვმა უნდა იცოდეს, თუ ვინ იყო კარლ ლიბკნეხტი, რისთვის იბრძოდა ის და რას შესწირა თავისი სიცოცხლე

კ. ლიბკნეხტი დაიბადა 1871 წ. უკვე ბავშობიდან პატარა კარლი გატაცებული იყო რევოლუციონური საქმიანობით; გამოჩენილი სოციალისტის ვილჰელმ ლიბკნეხტის შვილი კარლი თავიდანვე იზრდებოდა მუშათა კლასის სიყვარულის და რევოლუციონური თავდადების პირობებში.

1914 წელს, როცა მთელი ქვეყანა თავდავიწყებით ჩაება სისხლისმღვრელ მსოფლიო ფერხულში, უშიშარი ლიბკნეხტი „გაკადნიერდა“ ხმამაღლა ემცნო გერმანიის და მთელი ქვეყნის მუშათა კლასისათვის საერთაშორისო ომის ნამდვილი აზრი, მისი ყაჩაღური გეგმები და საშინელი შედეგები.

მუშათა კრებებზე, დემონსტრაციებზე, საიდუმლო თათბირებზე იმ დღეებში გაბედული კარლი პროტესტის, აღშფოთების და შურისძიების მოციქულად ევლინებოდა გერმანიის პროლეტარიატს.

დაუნდობელი, მტაცებლური მიზნებით თავბრუდახვეული გერმანიის მეფე და ბურჟუაზიული მთავრობა თითოეული გერმანელისაგან 1914 წელს მოითხოვდა უსიტყვო თავდადებას, უსიტყვო მსხვერპლს.

სისხლის სუნით დამთვრალი ბურჟუაზია დაუზოგველად სდევნიდა ყველას, ვინც ხმას აიმაღლებ და უმიზნო ჟლეტის წინააღმდეგ.

ამ დროს კ. ლიბკნეხტი თვით რეიხსტაგის ტრიბუნიდან ამხილებს ბურჟუაზიას მოღალატურ საქმეებში, ხალხის გაუბედურებაში, მშრომელთა მოტყუებაში და მოუწოდებს გერმანიის პროლეტარიატს კაპიტალისტების და მეფის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

როცა მას გამხეცებულმა დეპუტატებმა, დორბლით პირზე მიუთითეს დისციპლინის დარღვევაზე, შეუპოვარმა კარლმა უპასუხა: „მე მხოლოდ ერთი დისციპლინით ვარ შეზღუდული — ეს არის პროლეტარიატის საერთაშორისო ერთობის დისციპლინა“.

კ. ლიბკნეხტი ახალგაზრდათა მოძრაობის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში; შტუტგარდტის კონგრესი 1907 წელს, რომელზედაც საფუძველი ჩაეყარა ახალგაზრდათა ინტერნაციონალს, ლიბკნეხტის ხელმძღვანელობით ჩატარდა.

ამიტომ ბუნებრივია ბურჟუაზიის უსაზღვრო აღშფოთება დაუდგრომელი კარლის წინააღმდეგ, მაგრამ კ. ლიბკნეხტს გაბედულად, მტკიცედ, ქედმოუხრელად მიჰქონდა პროლეტარულ ახალგაზრდობასთან ერთად რევოლუციის დროშა.

1918 წლის ნოემბერში გერმანიაში იფეთქა რევოლუციამ, რომელმაც დალეწა ლიბკნეხტის სატუსაღოს კარებიც. თითქმის ასრულდა ლიბკნეხტის სურვილები;

მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა.

ნოემბრის რევოლუციამ ვერ გაათავისუფლა გერმანიის მუშათა კლასი. ხელისუფლებას სათავეში პროლეტარიატის მოღალატეები ჩაუდგენ. ამ ხანებში კ. ლიბკნეხტი კვლავ პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის მოწინავე სანგრებშია, ის კვლავ ხელმძღვანელობს მუშათა კლასის რევოლუციონურ ბრძოლებს.

მოღალატე სოციალ-დემოკრატია მალე დარწმუნდა მასში, თუ როგორ საფრთხეს უმზადებდა მას ლიბკნეხტი და მისი მუშაობა. ამიტომ მოსყიდული ჯალათების სისხლიანი ხელებით ბოლო მოუღო მას სწორედ მაშინ, როდესაც აჯანყებული გერმანიის მუშათა კლასი გადამწყვეტ ბრძოლას უმართავდა თავის მტრებს. მასთან ერთად მოკლულ იქნა რ. ლიუქსემბურგი. ეს მოხდა 1919 წლის 15 იანვარს.

გერმანიის და საერთაშორისო ახალგაზრდობას მოუკლეს საუკეთესო ხელმძღვანელი, თავდადებული ბელადი, ნიჭიერი მასწავლებელი.

რა სთქვა საქართველოს ბ. კ. ო. მომუშავეთა თათბირმა.

27 დეკემბერს გაიხსნა და 29 დეკემბერს დამთავრდა საქართველოს პიონერ-მომუშავეთა რესპუბლიკანური თათბირი. თათბირზე განსახილველი იყო პიონერ-ორგანიზაციის მდგომარეობა და მის მუშაობის მორიგი ამოცანები, მუშაობა ოქტომბრელთა შორის, მუშაობა პიონერ-აქტივთან და პიონერთა სამხედრო აღზრდა. თათბირმა მიიღო პრაქტიკულ ღონისძიებათა მთელი რიგი, რომელთა განხორციელებაში თვით პიონერებმა უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა.

თათბირზე გამოირკვა, რომ სავსებით გამართლებულია ერთი წლის წინათ წამოყენებული მუშაობის ახალი ფორმები: კოლექტივებში მუშაობის ჩამოყალიბება კონკრეტულ დავალებათა სისტემაზე, პიონერთა გადაჯგუფება მათი ცოდნის, განვითარებისა და ასაკის მიხედვით, რასაც მოჰყვა მუშაობის გამოცოცხლება, თვითმოქმედების უნარიანობის აწევა, შრომის ჩვევათა შესისხლხორცება, ტეხნიკურ ჩვევათა შეძენა და სხვ. ყოველივე ამან სასურველი შედეგები გამოიღო, მაგრამ თათბირმა აღნიშნა, რომ ეს მეთოდი სოფლად ცუდად ტარდება, ხშირად იმის გამო, რომ არ არის კარგი ხელმძღვანელი და უფრო დიდი მიზეზი კი ის არის, რომ თვით პიონერები ძალიან ცუდად იცნობენ მუშაობის ასეთ სისტემას.

ერთი კოლექტივთაგანი სწერს, რომ მუშაობის ახალი მეთოდი მათ შემოიღეს 1927 წლის მარტში, მოაწყვეს წინამძღოლთა თათბირი, რომელზედაც გაეცნენ მუშაობის ახალ სახეებს. დავალებანი დიდი წარმატებით ჩატარდა კოლექტივებში; განსაკუთრებით კარგად იქნა ჩატარებული დავალება: „დავეხმაროთ მიწისძვრისაგან დაზარალებულ ლენინაკანის ბავშებს“. ამ მუშაობაში მათ ჩააბეს დაურაზმავი ბავშებიც, რის შემდეგ ამ ბავშების ნაწილი პიონერ-ორგანიზაციაში ჩაეწერა.

როგორც ვხედავთ, იქ, სადაც თვით პიონერებმა იციან, თუ რა უნდა გააკეთონ კოლექტივში, ნათლად ჩანს მუშაობის შედეგები.

ამიტომ თათბირი, სვამდა რა საკითხს აქტივთან მუშაობის შესახებ, აყენებდა ასეთ ლოზუნგს: „აქტიური პიონერი უნდა იყოს პროპაგანდისტი და ცხოვრებაში გამტარებელი მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდებისა“.

ამ მიზნით საჭიროა: გამოცოცხლებულ იქნეს კოლექტივის საბჭოს მუშაობა პიონერების მხრივ თავისი ინიციატივით სათათბირო საკითხების წამოყენებით, საჭიროა აგრეთვე კოლექტივის მუშაობის გეგმის კოლექტიურად დამუშავება. პიონერებმა დამოუკიდებლად უნდა გადაამუშაონ მიმდინარე მუშაობის საკითხები, რომლის შესახებაც აუცილებლად უნდა მოახსენონ ან საბჭოს და ან კოლექტივს.

თათბირმა აღნიშნა: რამდენადაც შესაძლოა, თავიდან უნდა იქნეს აცილებული რგოლის შემადგენლობის ხშირი გამოცვლა. პიონერმა თითო რგოლში უნდა დაჰყოს ერთი წელიწადი მაინც, რის შემდეგ იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს შემდეგ რგოლში, რომელიც უფრო შეეფერება მის ასაკს; ეს დრო პიონერს საშუალებას მისცემს თავის მუშაობაში მიახწიოს ნაყოფიერებას მთელი რგოლის შემადგენლობასთან შემჭიდროების და მთლიანი მუშაობის მეოხებით.

წამოჭრილია საკითხი პიონერების ჩაბმისა მუშაობის და ხელმძღვანელობის ისეთ სახეებში, რომლებიც მათ აინტერესებენ, როგორიცაა: მიეცეს პიონერებს დავალება ჩამოაყალიბონ კალათ-ბურთის ჯგუფები, ბავშების სურვილის მიხედვით მოეწყოს ქალაქის სარაიონო შვიდდღიანი კურსები, რომლებიც მოამზადებენ აქტივს პიონერ—მუშაობის ცალკე დარგებისათვის (კურსები მუშაობის ახალი ფორმების, საავიაციო და რადიოს საქმის, ქიმიის ტოპოგრაფიის და სხვათა შესასწავლად), სხვადასხვა სახის წრეების ჩამოყალიბება.

პიონერებმა, რომლებმაც მიიღეს ცოდნა ამ კურსებზე, უნდა გადაიტანონ იგი რგოლებში ან ბავშთა ჯგუფებში, რომლებსაც სურვილი აქვთ იმუშაონ ამა თუ იმ დარგში.

პიონერების ინიციატივა წაქეზებულ უნდა იქნეს მუსიკალური და გალობის წრეებით, რა დროსაც გამოყენებულ უნდა იქნას ის ინსტრუმენტები, რომლებიც პიონერებს მოეპოვებათ. პიონერ-კომკავშირლები უნდა შეიქნენ ხელმძღვანელნი კოლექტივებში, ისინი უნდა იყონ დამწყები ამა თუ იმ საქმისა, მათ უნდა მისცენ მაგალითი სხვებს.

ოქტომბრელთა შორის მუშაობის საკითხი უნდა დაისვას მთელი სიგრძე-სიგანით; ბავშთა აქტიობა იზრდება და ფართოვდება და ამიტომ საჭიროა მისი შევსება. ამ მიზნით საჭიროა ჯგუფები დაიყოს ვარსკვლავებად, გამოიყონ ოქტომბრელები კოლექტივიდან, ვინაიდან მათი ასაკის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ვითარება არ გვაძლევს საშუალებას შევასრულებინოთ მათ ის მუშაობა, რომელსაც ასრულებენ პიონერ-კოლექტივები. აქ პიონერებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ, მეტი ყუ-

რადღება უნდა მიაქციონ თავის შემცვლელ ოქტომბრელებს, დაამუშაონ კოლექტივის საბჭოში ოქტომბრელთა მუშაობის საკითხები, გაგზავნონ ვარსკვლავებთან სამუშაოდ აქტიური პიონერები, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ მუშაობით. პიონერ-კომკავშირელნი უნდა გამოიყენონ ჯგუფებთან სამუშაოდ, მეტი მზრუნველობა უნდა გაეწიოს ჯგუფების მუშაობის პირობების გაუმჯობესებას.

სამხედრო აღზრდას უკვე დიდი ადგილი უჭირავს პიონერ-კოლექტივების მუშაობაში, მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ქალაქის კოლექტივებზე ითქმის; სოფლად საჭიროა ეს მუშაობა გაღმჯობესდეს. აუცილებელია სოფლის კოლექტივების მუშაობაში ჩაქსოვილ იქნეს სამხედრო აღზრდის ელემენტები. პიონერებმა უნდა განივითარონ სისწორე, შემსრულებლობა, ბეჯითობა, უშიშროება, ინიციატივა, სიმარდე, თვალთახედვა და სხვა, შეითვისონ ისეთი უნარი, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს მათ თვითორგანიზაციის მუშაობაში. პიონერები გარკვეულნი უნდა იყონ საერთაშორისო მდგომარეობაში და ამასთან ერთად სათანადო დონეზე უნდა იქნას დაყენებული ინტერნაციონალური აღზრდა, განმტკიცებული უნდა იქნას კავშირი საზღვარგარეულ ბავშებთან, სისტემატიურად უნდა კითხულობდენ პიონერთა ჟურნალ-გაზეთებს. კოლექტივების მთელი ჩატარებული მუშაობა უნდა იყოს შევსებული გასამხედროების ელემენტებით. კოლექტივებთან უნდა ჩამოყალიბდეს სიგნალიზაციის, ტოპოგრაფიის და სხვა წრეები, უნდა ჩამოყალიბდეს მტკიცე კავშირი წითელ არმიასთან, გაცხოველდეს მისდამი სიყვარული და ყურადღება, განმარტებულ იქნას მშობლებისათვის ოჯახში მომხდარი ყოველი ამბავი და ხმამაღლა წაკითხული გაზეთები. უნდა იმართებოდეს სამხედრო ხასიათის ექსკურსიები და თამაშობანი, მაგალითად როგორიცაა თამაში „წითელი ოქტომბერი“.

კოლექტივში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში პიონერმა უნდა მიიღოს მთელი რიგი ცოდნისა, უნდა შეეჩვიოს კოლექტიურ მუშაობას, შეიყვაროს შრომა, მეტი ისწავლოს და ყოველთვის მოწინავედ უნდა ითვლებოდეს სკოლაში, მის საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობაში ჩასაბმელად (მაგალითად, ბაღის გაშენება. დახმარება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მოსახლეობას შორის და სხვ.)

ყველაფერი ეს შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით პიონერები გამოიჩენენ ინიციატივას, გააფართოვებენ თავის თვითმოქმედებას. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ორგანიზაცია არ არსებობს პიონერთათვის, არამედ იგი არის თვით პიონერების საკუთარი ორგანიზაცია. პიონერი უნდა დაეხმაროს წინამძღოლს ყველა იმ დაბრკოლების გადალახვაში, რომელთა გადალახვა პიონერების დაუხმარებლად შეუძლებელია. პიონერებმა უნდა შეისწავლონ შრომა და დაწყებული საქმის დაბოლოვება. ა. **ასტაშევა.**



ქ. სოხუმის უპატრონო ბავშთა სახლის პიონერები მუშაობენ სადურგლოში.



ჩვენი ძმეგი მსოფლიოში

იუნგ სპარტაკუს ბუნდ *).

პირველად — ყველა დანარჩენებზე ადრე — გერმანიის პროლეტარულმა ბავშებმა ჩამოაყალიბეს ბავშთა მებრძოლი ჯგუფები და ორგანიზაციულად შეუდგენ ბრძოლას; ყველა სკოლაში ნამდვილი ომი სწარმოებდა რევოლუციონერ ბავშებსა და რეაქციონერ მასწავლებლებს შორის.

ბავშებმა არ იმღერეს ტახტიდან ჩამოგდებული ვილჰელმის ჰიმნი, მათ მოისურვეს მათი სკოლის კედლები დაემშვენებია ლიბკნეხტის, ლიუქსემბურგის და ლენინის სურათებს, მათ მოისურვეს მუშების რევოლუციონური ბრძოლის ისტორიის შესწავლა ნაცვლად მეფეებისა და თავადების ისტორიისა.

რეაქციონერი მასწავლებლები ამისი წინააღმდეგი იყვნენ, ისინი კვლავ სახაზავს სცემდენ ბავშებს ხელებსა და თავში, კარცერში სვამდენ, სკოლიდან აგდებდენ.

გაფიცვები სკოლებში ხან ერთგან იფეთქებდა, ხან მეორეგან. ამ გაფიცვებს ყველგან სათავეში უდგა ბავშთა კომჯგუფები. გერმანიის კომპარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობით 1921 წელს პირველად იქნა ჩატარებული ბავშთა საერთაშორისო კვირეული.

100.000 გერმანელმა ბავშმა მიიღო ამ კვირეულში ჩატარებულ დემონსტრაციებში მონაწილეობა; ისინი წითელი დროშებით ხელში მოეფინენ გერმანიის ქალაქების ქუჩებს. ამავე კვირეულში ადგილი ჰქონდა პოლიციელების მიერ რეზინის ჯოხებით ბავშების მასიურად გალახვის და დემონსტრაციების დარბევის პირველ შემთხვევას.

1922 წელს ჩატარებულ იქნა სრულიად გერმანიის სკოლის ბრძოლის კვირეული. ეს კვირეული გათავდა ხელმძღვანელების, აქტიური ბავშების მასიური დატუსაღებით და სასამართლოს მიერ სასტიკი განაჩენების გამოტანით ამ „სკოლის აჯანყების“ ორგანიზატორთა მიმართ.

1923 წელს გერმანიის ნორჩმა პიონერებმა თავი ისახელეს გერმანიის მუშათა კლასის რევოლუციონურ ბრძოლებში. ამ წლის დასაწყისში რურის ნახშირის რაიონში საფრანგეთის ჯარში, რომელსაც დაკავებული ჰქონდა ეს რაიონი, სწარმოებდა პროპაგანდა შესახებ იმისა, რომ ფრანგი ჯარისკაცები გერმანელ მუშებს კი არ უნდა ებრძოლონ, არამედ საფრანგეთის ბურჟუაზიას უნდა ეკვეთონ. ამ ძნელ საქმეში მონაწილეობას ღებულობდენ გერმანელი ბავშები.

ერთხელ ქალ. ლიუდვიგსგაფენში დაატუსაღეს რამდენიმე მუშა — რევოლუციონერი, მუშა-ახალგაზრდობა და მათ შორის ერთი 13 წლის ვაჟი.

ფრანგი ოფიცრები ცდილობდენ გაეგოთ ამ ბავშისგან, თუ საიდან მიიღო მან საპროპაგანდო ფურცლები, ვინაა პროპაგანდის ორგანიზატორი და სხვ. ისინი დაპირდენ მას დასაჩუქრებას, შემდეგ მუქარას მიმართეს, ბოლოს სცემეს, მაგრამ ვერაფერი ვერ გააწყვეს. პროლეტარი ბავში მტკიცედ უპასუხებდა; „მე არ გავცემ ჩემს ამხანაგებს“. ამავე წლის შემოდგომაზე კი დიდ ჰამბურგში უკვე ბარიკადული ბრძოლები სწარმოებდა.

ნორჩი პიონერები თავის საგუშაგოზე იდგენ. ისინი კავშირს აბამდენ აჯანყებულთა შორის, ისინი საჭმელ-სასმელს აწვდიდენ მებრძოლებს, მათ მო-

*) ახალგაზრდა სპარტაკელების კავშირი (გერმანიაში).

ნაწილეობა მიიღეს ბარმბეკის მიდამოებში წარმოებულ ზოგიერთ შეტაკებაში.

გერმანიის ქალაქების ქუჩებში ბავშები და მოზრდილები დღესაც იმღერიან მებრძოლი ჰამბურგის შემდეგ სიმღერას:

„იტანჯება საპყრობილეში გაშმაგებული
მრავალი მამაცი ნორჩი წითელგვარდიელი.
თქვენ, ძმებო ჩვენო, მოგეცით ჩვენ ფიცი.
თავისუფლება ხომ მაინც არ დაკარგულა.
ჩვენ ვაფრიალებთ დროშებს წითელი სალამით,
და მოგყვებიან თქვენ თამამად ნორჩი სპარტაკელები“.

და არა მარტო ჰამბურგში, არამედ სხვა ქალაქებშიაც გერმანელი პიონერები ამ დღეებში ბრძოლის ველის წინა მწკრივებში იდგენ და საშინელი დევნა გადაიტანეს.

ბოლოს, მთავრობამ აკრძალა პიონერ-ორგანიზაციები და დახურა ისინი; პიონერები იატაკ ქვეშ მუშაობაზე გადავიდენ.

1924 წელს მთავრობა იძულებული გახდა ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციების გახსნის ნება დაერთო, ყველა ბავშჯგუფი გაერთიანდა „ახალგ. სპარტაკელების კავშირში“, რომელიც კვლავ შეუდგა ბრძოლის საქმის გაშლას.

თუ როგორ მუშაობს ახლა ა. ს. კ., ამაზე ლაპარაკობს ერთი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამასწინათ ქ. შტუტგარდტში.

იქ ა. ს. კ. აკრძალულია. მაგრამ ამასწინათ „სამხრეთ გერმ. მუშათა გაზეთმა“ მოაწყო იქ დიდი საბავშო დღესასწაული. პოლიციამ გააფრთხილა, რომ იგი აკრძალავს დღესასწაულს, თუ ბავშებს ექნებათ წითელი ყელსახვევები და თუ პროგრამაში შეტანილი იქნება რევოლუციონური სიტყვები, სიმღერები და ა. შ.

უზარმაზარ შენობაში შეიკრიბა 5.000-მდე ბავში. მათ არ ჰქონდათ წითელი ყელსახვევები, პროგრამაში არ იყო რევოლუციონური არც სიტყვები, არც სიმღერები, მაგრამ იყო რაღაც სხვა: წარმოდგენილი იყო სცენები, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიულ სკოლას, წაკითხულ იქნა რამოდენიმე ათეული ტელეგრამა სხვა ორგანიზაციებიდან. პროგრამის ანტრაქტებში ბავშები იმღეროდენ იმას, რაც მათ სურდათ, კრების შემდეგ კი ისინი დაეწყვენ და წავიდენ რევოლუციონური სიმღერებით და ლოზუნგებით. პოლიციას არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, ვინაიდან ბრძანება არ ყოფილა დარღვეული!!

აი ასე მუშაობენ ნორჩი სპარტაკელები, მიუხედავად სასტიკი დევნისა.

გერმანელი პიონერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიელი ბავშვები.

(ქ. ტფილისში არსებული მთიელი ბავშვების სახლი.)

ამ საბავშო სახლის შესახებ შეიძლებოდა მრავალტომიანი წიგნი დაწერილიყო, იმდენად განსაკუთრებულ არაჩვეულებრივ მდიდარ მასალას იძლევა იგი.

ეს „მთიელი ბავშების სახლია“, რომელშიაც თავმოყრილი არიან მთიელი ბავშები—სვანები, ხევსურები, ფშაველები, ქისტები და ხალისიანი სიცოცხლით ავსებენ საბავშო სახლის მთელ შენობას. სულ ოთხმოცდახუთი შავგვემანი, შავთვალება ყმაწვილია, შორეული, ცენტრიდან მოწყვეტილი აულებიდან, მრისხანე მთიულური ჩვეულებებით, მოკლებულნი ყოველგვარ განათლებას...

ეს საბავშო სახლი დაარსდა ჯერ კიდევ 1924 წელს; ამ სახლის წინაშე იმთავითვე მეტად რთული ამოცანები იდგა: მთიელი ბავშების შემოკრეფა, მათი განათლება, გაკულტურონება, მთის მიყრუებული ადგილებისათვის საბჭოთა მუშაკების ახალი კადრების მომზადება.

შორეულ მთებში საბავშო სახლის შესახებ გაგონებაც არ სურდათ! ვერ ენდობოდენ და არ უშვებდენ ბავშებს. მოხუცი მთიელები ამის გამო ამბობდენ, ეს ევროპას უნდა წაიყვანოს ჩვენი შვილები ვალებშიო!

მშობლები არ უშვებდენ თავის შვილებს, ობლებზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგან მთის ჩვეულებით „ობოლს თუ არ უპატრონე, სირცხვილია“. ამ სახლისაკენ მხოლოდ სოფლის „უვარგისმა“ ბავშებმა მოაშურეს; ესენი იყვნენ მახინჯები, ბრმები, სნეულები, მაგრამ ბეჯითი სიექიმო დახმარება თავისას შვებოდა: ავადმყოფი ბავშები რჩებოდენ და სახლს თანდათან სიცოცხლე ეძლეოდა.

სახლში მიღებულმა ბავშებმა არაფერი არ იცოდენ. მთელი საათობით იცქირებოდენ სარკეში, არაოდეს რომ არ ენახათ სარკეში თავისი თავი. უკვირდათ ყველაფერი, ათვალიერებდენ ყველაფერს, რაც კი ხვდებოდათ ხელში.

ქისტები უარს ამბობდენ რძის საჭლის მიღებაზე:

— უწმინდურია, ეს ლორის ქონია!—აცხადებდენ ისინი, ისევ თხოულობდენ თავის ტანსაცმელს, არ სურდათ ეტარებიათ „დაწესებული“ ფორმა.

საბავშო სახლში თავიდანვე არ იყო თითქმის არცერთი გოგო და მათი რიცხვი ახლაც მხოლოდ ოც პროცენტს უდრის. ერთ მათგანს, ქისტის გოგონა ელპიკოს, მთელი თავგადასავალიც კი აქვს. საბავშო სახლში მიღების ცოტა ხნის შემდეგ მშობლებმა ის ისევ წაიყვანეს მთებში. მთის პატრიარქალური ცხოვრების პირობებში ელპიკოსათვის ისევ დადგა მძიმე ცხოვრების დრო, მაგრამ იგი გამოიქცა იქიდან. მშობლებმა ისევ მოიკითხეს ელპიკო, სცემეს კიდეც, მაგრამ იგი ისევ გამოიქცა მეორედ. ისევ დაბრუნეს უკან, მაგრამ იგი მესამეჯერ გამოიქცა.

აქ არ შევუდგებით, რასაკვირველია, იმის აღწერას, თუ რა გაჭირვება გამოიარა გზაში ამ თორმეტი წლის ქისტის გოგომ. დაღლილ-დაქანცული ისე, რომ თავის თავსაც ველარ იცნობდა, ელპიკო სხვისგან დამოუკიდებლად დაბრუნდა ტფილისში, რითაც დაამტკიცა თავისი უსაზღვრო სიყვარული საბავშო სახლისადმი.

ჩამორჩენილი, უვიცი ბავშები თანდათან მიეჩვიენ საბავშო ბაღებში და შრომის სკოლებში სიარულს.

გაჩაღდა საზოგადოებრივ-კოლექტიური მუშაობა. დაარსდა სხვადასხვა ხასიათის წრეები—ლიტერატურული, მუსიკალური, სამხატვრო, დრამატიული, რომლის ხელმძღვანელობა საკმაო ნიჭით დაჯილდოვებულმა ბავშებმა აიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშების მთელი შემადგენლობა ჩაბმულია პიონერულ მუშაობაში, დაყოფილია რგოლებად; ისინი გულმოდგინედ სწავლობენ პიონერული ქცევის ყოველგვარ წესს, ცდილობენ საქმისთვის ყოველთვის „მზად ყოფნას“.

საზაფხულო თვეებში მრავალი ბავში სტოვებს საბავშო სახლს და ბრუნდება თავის სამშობლო მთებში. მაგრამ ზაფხული ამით არ იკარგება უნაყოფოდ. პიონერები იქაც, შორეულ მთებში, განაგრძობენ თავის მუშაობას, აარსებენ პიონერთა კოლექტივებს, უშვებენ კედლის გაზეთებს, ატარებენ საუბრებს მოხუცებთან. შემოდგომაზე სახლი ისევ ცოცხლდება. მშობლიური ადგილებიდან დაბრუნებულნი, ისინი უყვებიან თავის აღმზრდელებს სოფლის და იქ მათ მიერ წარმოებული მუშაობის ამბებს.

სვანებს აქვთ ასეთი ჩვეულება: როცა რომელიმე მწვერვალზე გადადიან, უნდა ილოცონ. ზაფხულში საბავშო სახლიდან გასული თოთხმეტიოდე პიონერი ლატფარის ხეობაში გადასვლისას, როცა ისინი შინ ბრუნდებოდენ, როგორლაც შეხვდენ ერთ მოხუც სვანს, რომლისაგან მიიღეს წინადადება, რომ ელოცათ ხევში მშვიდობით მგზავრობისათვის. მაგრამ აგიტაციამ ვერ გასჭრა, ლოცვის მაგიერ პიონერებმა მარჯვენა ხელების აწევით „ინტერნაციონალის“ სიმღერით გადალახეს მთის მწვერვალები.

სახლის მხატვრული სახელოსნო სურათების თავისებური გალერეიაა; ახალგაზრდა მხატვრების სურათებით სავსე. აქ ბელადების სურათებიცაა და სხვა მრავალი სახის ნაწარმოები, რომელშიაც მჟღავნდება უნარიანობა და ნიჭი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია საწარმოო მუშაობისაკენ გადახრა, რაც გამოიხატება სახლთან არსებულ მთელ რიგ (სადურგლო, წიგნების ამკინძავი, ფეხსაცმელების მკერავი) სახელოსნოთა მუშაობაში.

სახელოსნოების პატარა ოთახებში ბავშები ეჩვევიან შრომითს საწარმოო ჩვეულებებს, ეჩვევიან გარჯას და სწავლას. სადურგლო სახელოსნო ამასწინათ ტეხნიკურადაც გაუმჯობესებულ იქნა, რის გამო სახლმა მიიღო საშუალება, რომ არა თუ მარტო თავისთვის აწარმოოს ავეჯეულობის დამზადება, არამედ ბაზრისთვისაც, რაც მეტად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს თვით სახლის არსებობისათვის.

ფეხსაცმელის მკერავთა სახელოსნოში, რომელიც ავსებულია ტყავეულობით, ბავშები თვითონ იკერავენ თავის ფეხსაცმელებს. ფეხსაცმელების ეს სახელოსნო საკუთარი წარმოებით მთელ საბავშო სახლს აკმაყოფილებს ფეხსაცმელებით.

წიგნის საკინძავ სახელოსნოში ბავშები გულმოდგინედ კინძავენ როგორც საკუთარ სახელმძღვანელოებს, ისე ბიბლიოთეკის წიგნებსაც. პიონერების მუშაობა მარტო ამითაც არ ისაზღვრება: გოგოები სწავლობენ კერვას და ქარგვას, ბიჭები აწყობენ რადიოს, სინჯავენ შაშხანებს, გოგოებთან ერთად სწერენ ლექსებს და მოთხრობებს თავისი ჟურნალისთვის „პატარა მთიელი“.

კვირადღეობით ტეხნიკური შტატი ისვენებს, სახლი იმ დღეს პიონერების განკარგულებაშია. ისინი ასუფთავებენ და ალაგებენ, როგორც წესრიგია; ყველაფერი ეს მათ ვალდებულებაში შედის და, უნდა ითქვას სიმართლე, ისინიც პირნათლად ასრულებენ ამას.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ბავშებს მხოლოდ ორჯერ მოუხდათ მანგლისსა და მღვეთში ყოფნა. ამ პერიოდში მათ უხდებოდათ თითქმის ბანაკად ცხოვრება.

პიონერების წრიდან გამოიზარდა უკვე შვიდიოდე კომკავშირელი, რომლებიც მუშაკში სწავლობენ, მაგრამ ამავე დროს დახმარებას უწევენ სახლის პედაგოგიურ მუშაობას. ამ შვიდი ყმაწვილის გარდა არიან სხვა მოზარდები, მაგრამ კომკავშირში მათი გადარიცხვა რატომღაც გვიანდება.

ჩვენ გვეშინია სექტემბრის, — ამბობს საბავშო სახლის გამგე ამხ. იოსელიანი და ამ სიტყვაში მშვენივრადაა გამოხატული საბავშო სახლის, მთიელების ამ კულტურული დაწესებულების, მთელი მიხწევები. საქმე ისაა, რომ სექტემბერში სწარმოებს ახალი მთხოვნელების მიღება, მთხოვნელი კი იმდენად ბევრია, რომ იძულებული არიან ბევრს უარი უთხრან. სწორედ სექტემბერში აშკარავდება საბავშო სახლის მთელი პოპულარობა, ამ სახლს კი წინათ, როგორც ჭირს, ისე გაურბოდა მთიელი ხალხი.

კულტურამ და უნარიანმა საქმიანობამ თავისი გაიტანა.

ე. შმერლინგი.

ტფილისი სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშობანი.

გლეხკობრ, გვიშველეთ.

მოთამაშეთა რიცხვი: 15-60-მდე.
სათამაშო ადგილი: მოედანი, დარბაზი, მინდორი, ეზო.

მოთამაშეთა განაწილება: მოთამაშეები ირჩევენ ურთიერთ დამხმარე კომიტეტს. დანარჩენები იყოფიან ორ ჯგუფად; ერთი ჯგუფი წარმოადგენს გლეხებს, მეორე — სტიქიურ უბედურებას (გვალვა, ცუდი მოსავალი). მოედნის ერთ თავში იხაზება წრე, ან კვადრატი, რომლის გვერდი უდრის 1-2 მეტრს; ეს არის გლეხკომის ადგილი.

მოედნის მეორე თავში იხაზება ადგილი სოფლისათვის.

სტიქიურ უბედურებათა მოთამაშეები ჩერდებიან მოედნის შუა ადგილას და ხელჩაკიდებული მიბრუნდებიან პირით სოფლისკენ. გლეხები იკავებენ სოფელს.

თამაშის აღწერა: როდესაც ყველა დაიკავებს თავის ადგილს, ხელმძღვანელი აძლევს ნიშანს, რის შემდეგ სტიქიურ უბედურებათა მოთამაშეები მიდიან ხელი-ხელჩაკიდებულნი სოფელზე და ცდილობენ გაოს შემოერტყან სოფელს. და მოაქციონ ის რკალში. გლეხები ცდილობენ ან გაძეონ, ან გადაახტენ წრეს, ან კიდევ თავი მოუყარონ სტიქიურ უბედურებათა მოთამაშეებს. ისინი, რომლებიც ამას შესძლებენ, მირბიან გლეხკომში.

როდესაც კომიტეტში თავს შეიყრის ხუთი გლეხი, ისინი ერთიანდებიან, ადგენენ რწყვილებს და კომიტეტის წევრებთან ერთად გამოცვივდებიან კომიტეტიდან და თავს ესხმიან სტიქიურ უბედურებებს, იჭერენ მათ. სტიქიური უბედურებანი აოლეევენ წრეს, როდესაც რწყვილები გამოიქცევიან კომიტეტიდან და გაიფანტებიან, მთელ მოედანზე. გლეხები, რომლებმაც ვერ წინათ შესძლეს კომიტეტში შესვლა, ერთიანდებიან რწყვილებად, როდესაც სტიქიური უბედურებანი გაიქცევიან კომიტეტიდან გამოქცეულ გლეხების მოახლოების დროს.

სტიქიურ უბედურებათა დაჭერილი მოთამაშე განცალკევებულ უნდა იქნეს და ის მონაწილეობას არ იღებს, რწყვილ თამაშში მის დამთავრებამდე. თამაში განისაზღვრება დანიშნული ვადით, ან ის გრძელდება მანამდე, სანამ დაჭერილი არ იქნება სტიქიურ უბედურებათა ყველა მოთამაშე.

თამაშის წესები: სტიქიურ უბედურებათა მოთამაშეების განთავისუფლება შეიძლება შემდეგნაირად: ხელის ქვეშ გაძრომა, ხელებზე გადახტომა; ნაპირებზე მდგომ მოთამაშეებისათვის წრის გარღვევა არ შეიძლება.

2. როდესაც გლეხების მოთამაშეები იჭერენ სტიქიურ უბედურებათა მოთამაშეებს, დაჭერილად ითვლება ის, რომელიც ხელების შუა მოამწყვდევს.

ამოცანები.

1.

ოქტეტიანი შაურიანიდან უნდა შეადგინოთ ისეთი ოთხკუთხედი, რომ შესდგებოდეს 20 რიგისგან და თითო რიგზე გაყოლებული იყოს საში შაურიანი.

2.

32, 8.25.12. 5.23. 8. — ერთ-ერთი საბავშო ჟურნალი
8.23. 9.29.19.24. 9. 8. — რუსეთის ერთ-ერთი ქალაქი
9. 1.10. 8.12. 8.12. 8. — რუსეთის გამოჩენილი რევოლ. გვარი
25.23. 1 13. 5.10. 1.15. 6. 8.10. 8. — საქართველოს გამოჩენილი რევ. გვარი
23. 8. 9. 25. 6. 8. — რუსეთის გამოჩენილი რევ. გვარი
8.11. 5. 23. 5. 7. 8. — საქართველოს ერთ-ერთი კუთხე

ყოველი სიტყვის პირველმა ასოებმა უნდა მოგვცეს ისეთი პიონერის სახელი, რომელიც იმყოფებაჭ ყოველ რაზმში. რომელი სიტყვაა ეს?

3.



1. — ბ	2. — კ
6. — რ	3. — ნ
1. — ო	1. — ბ
1. — ლ	3. — მ
5. — ე	2. — ბ
4. — ტ	1. — ც
8. — ა	1. — ჩ
11. — ი	1. — ვ
6. — ს	2. — წ
	1. — დ

ეს ასოები ისევ უნდა დალაგდეს ოთხკუთხედებში, რომ გამოგვიდესთ ერთი თანამედროვე ლოზუნგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1928 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული ჟურნალი

მოზარდილთათვის

პიონერი

წელიწადი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და ხაზეინოებების ვალდებულებაა გამოიწეროს

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული). „პიონერი"-ს და „ნაპკადული"-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—2/I—28. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. ბლეხ. ბრ. № 91.
მთავარლიტ. № 1. შეკვ. № 414/4163. ტირაჟი 1000.